

F 171
1975



საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო

გაქანებუთა და ინსტრუქციათა
ქ რ ე ბ უ ლ ი

6

С Б О Р Н И К
ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ
МИНИСТЕРСТВО ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

0 3 5 0 6 0

ტელაქტორი უშ. ოზოლაძე
კორექტორი ე. ქურციკიძე
ტექ. ტელაქტორი ეკ. ნეშუმაშვილი

ფასი 10 კაპ.

ხელმოწერილია დახმებულად 26/VI-75 წ. ანაწყოების ზომი 6×9,5
ქილილის ზომი 60×84, ხასტამბო ფორმითა რედაქცია 4,25

შეკვ. № 399

უე—04654

ტირაჟი 5.000.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნით
ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის სტამბა № 11,
უშ. ჩხეიძის ქ. № 19

Типография № 11 Государственного Комитета
по делам издательств, полиграфии и книжной торговли Совета
Министров Грузинской ССР, ул. Уш. Чхеидзе № 19

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1975 წ.
10 მარტის ბრძანება № 176

სასკოლო ინტერნატების მუშაობის თაობაზე საქართველოს სსრ
სახალხო კონტროლის კომიტეტის 1975 წლის 24 იანვრის
დადგენილების შესახებ

როგორც საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის მიერ სასკოლო ინტერნატების მუშაობის შემოწმების მასალებიდან ირკვევა, განათლების ორგანოებს, ადგილობრივ საბჭოებთან ერთად, გარკვეულ მუშაობა აქვთ ჩატარებული ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებთან არსებული ინტერნატების მუშაობის პირობების შემდგომი გაუმჯობესების საქმეში.

ამისთან ერთად, სასკოლო ინტერნატების ზრდისა და მათი სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცების, აგრეთვე მოსწავლეობის ნორმალური საყოფაცხოვრებო პირობების შექმნის საქმეში ჯერ კიდევ ადგილი აქვს სერიოზულ დარღვევებსა და ნაკლოვანებებს.

რესპუბლიკაში არსებული 181 სასკოლო ინტერნატიდან მხოლოდ 36 არის მოთავსებული ამისათვის სპეციალურად აგებულ შენობაში 56—შეგუებულ შენობებში, ხოლო 89 დაქირავებულ კერძო ბინებში სადაც ნაკვალად გეგმით გათვალისწინებული 5600 მოსწავლისა, ცხოვრობს 4783 ბავშვი. 1974 წელს გეგმით გათვალისწინებული 9 სასკოლო ინტერნატიდან ექსპლოატაციაში შევიდა 7 ინტერნატი 300 მოსწავლე—ადგილზე.

ზოგიერთი რაიონის ადგილობრივი ორგანოების უპასუხისმგებლო და მოუქნელი მუშაობის შედეგად ადგილი აქვს ახლად აგებული სასკოლო ინტერნატების შენობების არადანიშნულებით გამოყენების ფაქტებს (თერჯოლის, მაიაკოვსკის რაიონები), ვინაიდან განაცხადების წარმოდგენისას მათ მიერ არ იყო გათვალისწინებული სასკოლო ინტერნატების რეალური საჭიროება.

კ. შარქიას ხ.ბ. ს.კ. სსრ
სახელმწიფო რესტრუქცი-
ის სამსახური

ამავე დროს, რიგ რაიონებში მოსწავლეები განიცდიან დიდ გაჭირვებას ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებთან ინტერნატების უქონლობის გამო, ასე მაგალითად, თეთრიწყაროს რაიონის პატარა ირაგის მოსწავლეთა დიდ ნაწილს, სასკოლო ინტერნატის უქონლობის გამო, სკოლაში სიარული უხდება 5—8 კილომეტრის მანძილზე. ასურეთის სასკოლო ინტერნატი უვარგის, მოუწყობელ შენობაშია მოთავსებული, მაშინ როცა თეთრიწყაროს სასკოლო ინტერნატის ორსართულიანი შენობა არადანიშნულებისამებრ არის გამოყენებული. წალკის რაიონის 10 სასკოლო ინტერნატიდან 7 უვარგის დაქირავებულ შენობაშია, ხოლო 2 აგარიულ ბარაკშია მოთავსებული კასპის რაიონის ქვემო ჭალის სასკოლო ინტერნატი და სხვ.

ზოგიერთი სასკოლო ინტერნატი არ არის სათანადოდ უზრუნველყოფილი აუცილებელი ინვენტარით, თეთრეულით, სამზარეულოსა და სასადილო ჭურჭლით. თეთრიწყაროს რაიონის მანგლისის სასკოლო ინტერნატში საშუალოდ სამ ბავშვზე თითო სკამი მოდის, არ არის ტანსაცმლის კარადები, საკიდები, არ გააჩნიათ ჭიქები, გრაფინები და სხვ. ანალოგიური მდგომარეობაა ამავე რაიონის ასურეთის, კასპის რაიონის ახალქალაქის, ქვემოჭალის, წალკის რაიონის თრიალეთისა და ხრამქვის, ღუშეთის რაიონის ფასანაურისა და ანანურის, წულუკიძის რაიონის გორდის, სამტრედიის რაიონის საჯავახოს სასკოლო ინტერნატებში. ამასთან, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ 1973—1974 წლებში ინვენტარის შესაძენად ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები არ იქნა ათვისებული ქვემოჭალის, ახალქალაქის, ასურეთის, ქვეშეთის, ანანურისა და გორდის სასკოლო ინტერნატებში.

ბევრ სასკოლო ინტერნატში მოსწავლეთათვის არ არის შექმნილი ნორმალური საყოფაცხოვრებო პირობები, ოთახები ცუდად თბება, არ არის დაცული სანიტარულ-ჰიგიენური მოთხოვნები, ამ მხრივ განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა გორდის სასკოლო ინტერნატში (სკოლის დირექტორი კ. ჩიქოვანი). ინტერნატი კერძო ბინაშია მოთავსებული და საცხოვრებლად უვარგისია. ამ სასკოლო ინტერნატის 4 ოთახში მხოლოდ ერთი თუნუქის ღუმელია დადგმული, ინტერნატს არა აქვს სამზარეულო და სასადილო, არ არის ჭურჭელი, არ ყოფილა თეთრეული, ხოლო რაც აქვთ—უსუფთაოა, რბილი ინვენტარის შესაძენად გამოყოფილი თანხა აუთვისებელია. არ არის ორგანიზებული მოსწავლეთა კვება და სხვ. ინტერნატს არ აქვს დღის რეჟიმის განრიგი, სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა თვითდინებაზეა მიშვე-

ბული. ამის შედეგად სასკოლო ინტერნატში, ვეგმით გათვალისწინებული 21 ბავშვის ნაცვლად, ცხოვრობს მხოლოდ—7.

ბევრ სასკოლო ინტერნატში მოუფგვარებელია კვების პროდუქტების აღრიცხვისა და მის ხარჯვაზე კონტროლის საქმე, სკოლის ხელმძღვანელები და სასკოლო ინტერნატების მუშაკები არ ზრუნავენ სასკოლო ინტერნატების პროდუქტების მარაგით უზრუნველყოფაზე.

ზოგ სასკოლო ინტერნატში არასწორად არის დაკომპლექტებული მომსახურე პერსონალის შტატი; შრომის სასკოლო ინტერნატში (სკოლის დირექტორი კ. გუგუციძე) დარღვეულია საშტატო-საფინანსო დისციპლინა.

რესპუბლიკის სასკოლო ინტერნატების მუშაობაში გამოვლინებული სერიოზული ნაკლოვანებები იმის შედეგია, რომ ზოგიერთი სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ხელმძღვანელი სათანადო მზრუნველობას არ იჩენს სასკოლო ინტერნატებში მცხოვრები ბავშვებისადმი, ხოლო წულუკიძის, დუშეთის, თეთრიწყაროს (გამგებები ამხ. ამხ. ს. ჭოლოკავა, ნ. კარიაული, დ. ბეჭაური) და ზოგიერთი სხვა რაიონის განათლების განყოფილება, აგრეთვე საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს შესაბამისი სამმართველოები ჯერ კიდევ საკმაო კონტროლსა და დახმარებას ვერ უწევენ სოფლის სკოლებს და ვერ აღწევენ სასკოლო ინტერნატების მუშაობის ძირეულ გაუმჯობესებას.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებთან არსებული სასკოლო ინტერნატების საქმიანობაში გამოვლინებულ სერიოზულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზნით,

გ ბ რ ძ ა ნ ჟ ბ:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებმა სასწავლო წლის ბოლომდე შეამოწმონ ყველა სასკოლო ინტერნატის მუშაობა-საქმიანობა, მიიღონ გადაწყვეტილი ზომები სასკოლო ინტერნატების მუშაობაში გამოვლინებულ ნაკლოვანებათა სასწრაფოდ აღმოფხვრისათვის.

2. ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების დირექტორებმა, სადაც არსებობს სასკოლო ინტერნატები, ყველა ზომა მიიღონ ამ დაწესებულებებში სრული წესრიგის დასამყარებლად და აღსაზრდელებისათვის ნორმალური საყოფაცხოვრებო პირობების შესაქმნელად.

3. სკოლების (ამხ. რ. კანდელაკი), საგემო-საფინანსო (ამხ. ა. კვაჭაძე), კაპიტალური მშენებლობის (ს. უჩანეიშვილი) სამსახურების
ლოებმა:

ა) არ დაუშვან სასკოლო ინტერნატების მშენებლობისათვის განაცხადების მიღება, დაფინანსება და საჭირო ტექნოლოგიების მომზადება, თუ ადგილობრივი ორგანოების მიერ არ იქნება დასაბუთებული ზოგადსაგანმანათლებლო სკოლასთან ინტერნატის გახსნის აუცილებლობა და დართული იმ მოსწავლეთა სიები, რომლებიც სკოლაში დადიან დაშორებული სოფლებიდან, აგრეთვე ვინც იცხოვრებს ინტერნატში.

განაცხადები როგორც სასკოლო ინტერნატების, ისე მასწავლებელთა საცხოვრებელი სახლების მშენებლობაზე დამტკიცებული უნდა იქნეს შესაბამისი საბჭოს აღმასკომის მიერ, ხოლო გეგმები განხილულ კოლეგიაზე;

ბ) ერთი თვის ვადაში კომპლექსურად შეამოწონ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებთან არსებული ინტერნატების მუშაობა; განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მათში მცხოვრებ მოსწავლეთა შორის სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობასა და საყოფაცხოვრებო პირობებს.

შეისწავლონ ადგილობრივი ორგანოების განაცხადების საფუძველზე მეცხრე ხუთწლედში აგებული სასკოლო ინტერნატების შენობებისა და მასწავლებელთა საცხოვრებელი სახლების დანიშნულებით გამოყენებისა და მიმდინარე წელს დაგეგმილი მშენებარე და ასაშენებელი ობიექტების საჭიროება.

4. მომარაგებისა და დამხმარე საწარმოთა სამმართველომ (ამხ. გ. კბილაშვილმა) უზრუნველყოს სასკოლო ინტერნატების რბილი ინვენტარითა და საჭირო მოწყობილობით მომარაგება არსებულ სორმების შესაბამისად.

5. საგემო-საფინანსო სამმართველომ (ამხ. ა. კვაჭაძემ) სასკოლო ინტერნატების საშტატო ერთეულებით დაკომპლექტებისას მკაცრად იხელმძღვანელოს სადირექტივო ორგანოების შესაბამისი ინსტრუქციებითა და დადგენილებებით; ადგილებამდე დაიყვანოს ცნობა სასკოლო ინტერნატებში მცხოვრებ მოსწავლეთა კვებაზე დაწესებულ შეღავათების შესახებ.

6. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სამმართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა:

ა) სასკოლო ინტერნატების მუშაობისადმი ხელმძღვანელობისა და კონტროლის შესუსტებისათვის წულუკიძის, თეთრიწყაროსა და დუშეთის რაიონის განათლების განყოფილებათა გამგეებს ამხ. ამხ. ს. ჭოლოკავას, დ. ბეჭაურსა და ნ. კარიაულს გამოუცხადა საყვედური;

ბ) სასკოლო ინტერნატების მუშაობისადმი უპასუხისმგებლობისა და მათში მცხოვრებ მოსწავლეთა საყოფაცხოვრებო პირობებისადმი უსულგულო დამოკიდებულებისათვის წულუკიძის რაიონის გორდის საშუალო სკოლის დირექტორს კ. ჩიქოვანს, თეთრიწყაროს რაიონის ასურეთის საშუალო სკოლის დირექტორს ე. ხიდურელს, დუშეთის რაიონის ანანურის საშუალო სკოლის დირექტორს მ. მაჭავარიანსა და კასპის რაიონის ქვემო ჭალის საშუალო სკოლის დირექტორს ნ. სიგუას სამოუცხადა სასტიკი საყვედური, ზესტაფონის რაიონის შროშის საშუალო სკოლის დირექტორს კ. გუგუციძეს—საყვედური.

7. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ:

ა) კასპის რაიონის, ახალქალაქის საშუალო სკოლის დირექტორი მ. მღელარია გათავისუფლებულია დაკავებული თანამდებობიდან;

ბ) სამტრედიის რაიონის საჯავახოს საშუალო სკოლის დირექტორის შუბლაძის შესახებ იმსჯელა პარტიის სამტრედიის რაიონის ბიურომ და გამოუცხადა საყვედური;

გ) ორჯონიკიძის რაიონის ბორითის საშუალო სკოლის დირექტორის მ. კუბრაძის საკითხს იხილავს პარტიის ორჯონიკიძის რაიონის ბიურო;

დ) ქვეშეთის სასკოლო ინტერნატის მატერიალური პასუხისმგებელი პირი ა. ე. ჯღამაძე გათავისუფლებულია დაკავებული თანამდებობიდან.

8. დუშეთის რაიონის განათლების განყოფილებამ სათანადო სასჯელი დაადო ქვეშეთის საშუალო სკოლის დირექტორს დ. ბურდულს.

9. მკაცრად იქნენ გაფრთხილებულნი ამ ბრძანებაში აღნიშნული სკოლის დირექტორები, რომ სასკოლო-ინტერნატებში არსებული მდგომარეობის გამოუსწორებლობის შემთხვევაში მათ მიმართ მიღებულ იქნება მკაცრი ორგანიზაციული ზომები, თვით მოხსნამდეც კი.

10. დუშეთისა და სამტრედიის რაიონების განათლების განყოფილებებმა განიხილონ ანანურისა და საჯავახოს სასკოლო ინტერნატების მატერიალურად პასუხისმგებელ პირთა—ე. ბედოშვილისა და

გ. კახიანის საკითხი და ვატარებულ ღონისძიებათა შესახებ უახლოეს მომავალში ოცნობონ განათლების სამინისტროს.

11. ეს ბრძანება განხილულ იქნეს ყველა საშუალო სკოლის პედაგოგიური და რაიონების სახალხო განათლების საბჭოების სხდომებზე, სადაც არსებობს სკოლა-ინტერნატები.

12. სკოლების სამმართველომ (ამხ. რ. კანდელაქია):

ა) სამმართველოს სამუშაო გეგმაში სისტემატურად გაითვალისწინოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებთან არსებულ ინტერნატებში სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობისა და მოსწავლეთა საყოფაცხოვრებო პირობების შესწავლა;

ბ) კონტროლი დააწესოს ამ ბრძანების შესრულებაზე.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1975 წლის 6 მარტის დადგენილება.

მინისტრი თ. ვ. ლაშქარაშვილი

სამმართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1975 წ.
17 მარტის ბრძანება № 200

რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაწყებით
კლასებში მათემატიკის სწავლების მდგომარეობის შესახებ

როგორც სკოლების სამმართველოს მიერ წარმოდგენილი მოხსენებითი ბარათიდან ირკვევა, მათემატიკის ახალი პროგრამებითა და სახელმძღვანელოებით მუშაობამ უკეთესი შესაძლებლობანი შექმნა სწავლების პროცესში მოსწავლეთა გონებრივი და ფსიქიკური განვითარებისათვის, თეორიულ ფუნდამენტზე დაფუძნებული, გაცნობიერებული გამოთვლითი და პრაქტიკული ჩვევებით მათი შეიარაღებისათვის.

დაწყებითი კლასების მასწავლებელთა ერთი ნაწილი კარგად ირკვევა ახალი პროგრამების შინაარსში, დაუფლებულია საგნის სწავლების მეთოდებსა და ხერხებს, სისტემატურად იყენებს სწავლებაში თვალსაჩინოებას, მთელი დატვირთვით მუშაობს კლასთან და სასურველ შედეგებსაც აღწევს.

დამაკმაყოფილებლად მუშაობენ მასწავლებლები: გ. სოსელია (თბილისის 31-ე საშუალო სკოლა), ს. არუთინოვა (თბილისის 117-ე საშ. სკოლა), ს. ნავტიკოვა (თბილისის მე-2 საშ. სკოლა), ნ. გურაშვილი, მ. ბერიაშვილი, ი. ჯალიაშვილი (წითელწყაროს 1-ლი საშ. სკოლა), თ. ჩაფიჩიძე (მაიაკოვსკის რაიონის დიშის 1-ლი საშ. სკოლა), ზ. ხაჭაპურიძე (ახალციხის რაიონის წნისის 8-წლიანი სკოლა), გ. სვანიძე (ახალციხის რაიონის ურავლის 8-წლიანი სკოლა), ნ. კვინიკაძე (ხაშურის რაიონის სურამის მე-3 საშ. სკოლა), თ. ჩადუნელი (ხაშურის რაიონის ქვიშხეთის საშ. სკოლა), ლ. მჭედლიშვილი (ხაშურის მე-4 საშ. სკოლა), შ. ბაჩილავა (გეგეჭკორის რაიონის აბჰესის დამოუკიდებელი დაწყებითი სკოლა), ნ. ჭანტურია (გეგეჭკორის მე-2 საშ. სკოლა), რ. ხაჩატუროვა, ქ. იმერლიშვილი, ქ. შავკანი (ბორჯომის რაიონის ბაკურაიანის საშ. სკოლა), თ. ჯიმშიაშვილი, ა. გურ-



გენიძე (ბორჯომის მე-2 საშ. სკოლა), გ. მამისტარაშვილი (ბორჯომის რაიონის ტაძრის საშ. სკოლა), მ. ცხვედაძე, ნ. კლასონია (ქარელის რაიონის აბისის საშ. სკოლა).

მაგრამ, ამასთან, შემოწმებული რაიონების მთელი რიგი სკოლების დაწყებით კლასებში მათემატიკის სწავლება სერიოზული ნაკლოვანებებით ხასიათდება.

მასწავლებელთა მნიშვნელოვანი ნაწილი ჯერ კიდევ ვერ აღწევს იმას, რომ მოსწავლეები მიაჩვიოს დამოუკიდებელ მუშაობას, ახალი მასალის ათვისების პროცესში ვერ წარმართავს მოსწავლეთა გონებრივ აქტივობას, ვერ ახდენს დავალებათა ისეთ ვარირებას, რომელიც მოსწავლეებს გაუღვიძებს ინტერესს ამოცანებისა და მაგალითების ამოხსნის რაციონალური გზების ძიებისადმი. მასწავლებელთა ერთი ნაწილი ახალ სასწავლო მასალას აწვდის მზა სახით, არ ქმნის გაკვეთილზე არავითარ პირობებს მოსწავლეთა აზროვნების აქტივიზაციისათვის, გაკვეთილის აგებისას იფარგლება მხოლოდ ტრადიციული არითმეტიკული მასალის სწავლებით, რომელსაც ორგანულად ვერ უკავშირებს ალგებრისა და გეომეტრიის ელემენტებს. მასწავლებლები იშვიათად იყენებენ სწავლებაში თვალსაჩინო დიდაქტიკურ მასალებს, უგულვებელყოფილია საერთოდ ტექნიკური საშუალებების გამოყენება.

არადამაკმაყოფილებლად ისწავლება მათემატიკა ახალციხის რაიონის ანის საშუალო (მასწ. ე. ცუცქვირიძე), ურავლის რვაწლიან (მასწ. ე. გოცირიძე), წნისის რვაწლიან (ფ. გვარამაძე), ხაშურის რაიონის სურამის მე-3 საშუალო (მ. მელაძე), ბეკამის რვაწლიან (ნ. ზღიაძე, ნ. ღონდაძე), ხაშურის მე-4 საშუალო (მარკოზია, მ. დეკანოსიძე), მაიაკოვსკის რაიონის ვარციხის დამოუკიდებელ დაწყებით (ქ. მორჩიაშვილი); დიშის რვაწლიან (ლ. ნებიერიძე), ბორჯომის რაიონის ბაკურიანის საშუალო (თ. თედიაშვილი, ვ. კობახიძე), სადგერის დამოუკიდებელი დაწყებით (ლ. ქოჩიევა), ჭობისხევის რვაწლიან (ეფ. სარალიძე), ზუგდიდის რაიონის ინგირის მე-2 საშუალო (ბ. შენგელია), ახალსოფლის საშუალო (ქ. ჯიქია), ცაიშის საშუალო (ს. ფელანგია), გეგეჭკორის მე-2 საშუალო (გრ. ესიავა), თბილისის 103-ე საშუალო (ნ. მჭედლიძე) სკოლებში.

აღნიშნული მასწავლებლები არ იცავენ წერის ნორმებსა და სახეებს; საკონტროლო წერებს ერთ ვარიანტად ატარებენ, საკონტროლო სამუშაოდ არ აძლევენ ამოცანებს ამოსახსნელად, რის გამოც მოსწავლეთა დიდ ნაწილს უჭირს მათი ამოხსნა.

სუსტია კონტროლი და დახმარება დაწყებითი კლასების მასწავლებელთა მუშაობაზე. ამის მიზეზი, ერთის მხრივ, ისიც არის მთელი რიგი სკოლების ხელმძღვანელები (დირექტორები და მათი მოადგილეები სასწავლო-აღმზრდელი მუშაობის დარგში) ჰუმანიტარული ციკლის საგნების სპეციალისტები არიან, ამდენად ვერ ხედება მათემატიკური ციკლის დისციპლინების სწავლების საფუძვლიანი შემოწმება. ამასთან ერთად, სკოლის ხელმძღვანელები იშვიათად, ზოგჯერ კი სრულიადაც არ ესწრებიან მათ გაკვეთილებს.

ზოგიერთ სკოლაში პედაგოგიურ საბჭოს სხდომებზე არაკვალიფიციურად იხილვენ მათემატიკის სწავლებას.

მთელ რივ სკოლებში არადამაკმაყოფილებლად მუშაობს დაწყებითი კლასების მასწავლებელთა მეთოდგაერთიანება, ზოგან კი იგი საერთოდ არ არის შექმნილი.

რესპუბლიკის დაწყებითი კლასების მასწავლებელთა 40-მდე პროცენტს ჯერ კიდევ არ გაუვლია დახელოვნების კურსები ახალ პროგრამებზე გადასვლასთან დაკავშირებით.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქ. თბილისის, მაიაკოვსკის, გევექკორის, ბორჯომის, ახალციხის, ქარელის, ხაშურის, ზუგდიდის, წითელწყაროსა და ასპინძის განათლების განყოფილებებმა (ამხ. ამხ. თ. ევაძემ, დ. კვირიკაძემ, მ. ცანავამ, ბ. მინჯიამ, კ. ხარშილაძემ, ნ. გოგიჩაშვილმა, მ. ლაბაძემ, მ. ნარმანიამ, ნ. ბოსტოლანაშვილმა და ს. მამუკაშვილმა):

ა) გააუმჯობესონ ხელმძღვანელობა, დახმარება და კონტროლი დაწყებით კლასებში მათემატიკის სწავლებაზე; სკოლების კომპლექსური შემოწმების დროს საფუძვლიანად შეისწავლონ დაწყებითი კლასების მასწავლებელთა მუშაობა და გაატარონ კონკრეტული დანიშნულებანი აღნიშნული საგნის სწავლების დონის ასამაღლებლად;

ბ) უზრუნველყონ სკოლების მომარაგება საჭირო დიდაქტიკური მასალებითა და ტექნიკური საშუალებებით;

გ) მუშაკების შერჩევასა და გათვალისწინონ მათი სპეციალობა; თანდათანობით შეცვალონ მათი შემადგენლობა, რომ სკოლის ერთ-ერთი ხელმძღვანელი უფროდ იყოს მათემატიკური ციკლის რომელიმე საგნის სპეციალისტი;

დ) მიმდინარე სასწავლო წლის ბოლომდე შეისწავლონ ბრძანებაში აღნიშნულ სუსტად მიმუშავე მასწავლებელთა მუშაობა და

რომელთაც არ შესწევთ უნარი, გარდაქმნან თავიანთი საქმიანობა, სათანადო წესის დაცვით გაათავისუფლონ სამუშაოდან;

ვ) დაწყებითი კლასების სუსტად მომუშავე მასწავლებელთა მონაშადების დონის ამადლებს მიზნით უზრუნველყოფნ მათი გადამზადება.

2. სკოლის დირექტორებმა და სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში მათმა მოადგილეებმა:

ა) სისტემატური კონტროლი დააწესონ დაწყებითი კლასების მასწავლებელთა მუშაობაზე. უფრო ხშირად დაესწრონ მათემატიკის გაკვეთილებს, საფუძვლიანად გააანალიზონ მოსმენილი გაკვეთილები და მისცენ სწორი, მიზანსწრაფული მეთოდური მითითებანი არსებული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად;

ბ) იზრუნონ სკოლების მატერიალური ბაზის განმტკიცებისათვის, უზრუნველყოფნ სკოლები ელექტროგანათებით, შექმნან აგრეთვე სხვა პირობები სკოლებში ტექნიკური საშუალებების გამოყენებისათვის,

გ) კვალიფიციურად შეისწავლონ დაწყებით კლასებში ახალი პროგრამებით მათემატიკის სწავლება და პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე დასაბნონ კონკრეტული ღონისძიებანი;

დ) მკაცრი კონტროლი დააწესონ მათემატიკაში წერითი მუშაობის სახეების, რაოდენობისა და შეფასების ნორმების დაცვაზე, მოსწავლეთა ნამუშევრების გასწორების ობიექტურობაზე, არ დაუშვან საკონტროლო წერების ერთ ვარიანტად ჩატარება;

ე) ძირეულად გააუმჯობესონ მეთოდგაერთიანებათა მუშაობა, მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდონ დასამუშავებელი საკითხების შერჩევას, ხოლო იქ, სადაც მხოლოდ კლასის ხელმძღვანელთა მეთოდგაერთიანებაა, აუცილებლად შექმნან საგნობრივი მეთოდგაერთიანება.

3. დაწყებითი კლასების მათემატიკის მასწავლებლებმა:

ა) იზრუნონ თავიანთი პედაგოგიურ-მეთოდური დახელოვნებისათვის, გაეცნონ იმ მეთოდურ რეკომენდაციებს, რომლებიც ყურანალგაზეთებში იბეჭდება მასწავლებელთა დასახმარებლად;

ბ) მეტი ყურადღება მიაქციონ ამოცანების ამოხსნას, დამოუკიდებელი მუშაობის ორგანიზებულად ჩატარებას, სისტემატურად გამოიყენონ სწავლებაში თვალსაჩინოება და ტექნიკური საშუალებები;

გ) გარკვეული ადგილი დაუთმონ გაკვეთილებზე მოსწავლეთა მიმდინარე შეფასებას, არ დაუშვან ლიბერალრზმი მოსწავლეთა შეფასებაში.

4. საგნის დაბალ დონეზე სწავლებისათვის მასწავლებლებს:

ე. ცუტკირიძეს (ახალციხის რაიონის ანის საშ. სკოლა), ქ. კორჩია-

შვილს (მაიაკოვსკის რაიონის ვარციხის დამოუკიდებელი დაწყ. სკოლა),
ნ. ლონლაძეს (ხაშურის რაიონის ბეკამის რვაწლიანი სკოლა), ქ. ესაყვას
ვას (გვეგეჭორის მე-2 საშ. სკოლა), ნ. მჭედლიძეს (თბილისის 103-ე
საშ. სკოლა) გამოეცხადოთ საყვედური.

5. არადამაკმაყოფილებელი მუშაობისათვის მასწავლებლებს:
მ. დეკანოზიძეს (ხაშურის მე-4 საშ. სკოლა), თ. თედიაშვილსა და ვ.
კობახიძეს (ბაკურიანის საშ. სკოლა), ლ. ქოჩიევას (სადგერის დამოუ-
კიდებელი დაწყებითი სკოლა), ეფ. სარალიძეს (ჭობისხევის რვაწლი-
ანი სკოლა), ფ. გვარამაძეს (წნისის რვაწლიანი სკოლა), ვ. ვოცირი-
ძეს (ურავლის რვაწლიანი სკოლა), ნ. ბლიაძეს (ბეკამის რვაწლიანი
სკოლა), ლ. ნებერიძეს (დიმის 8-წლიანი სკოლა), ბ. შენკელიას
(ინგირის მე-2 საშ. სკოლა), ქ. ჯიქიას (აზალსოფლის საშ. სკოლა),
ს. ფელანგიას (ცაიშის საშ. სკოლა) მიეთითოთ.

6. მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა (ამხ. თ. ზახ-
შვილმა) უზრუნველყოს იმ მასწავლებელთა გადამზადება, რომელთაც
ახალ პროგრამებზე გადასვლასთან დაკავშირებით არ გაუვლიათ და-
ხელოვნების კურსები. ამასთან, რაღაცნაირ დაწყებით კლასებში მათე-
მატიკის პროგრამებზე არსებითი ცვლილება განიცადა, ამ საგანში
მასწავლებელთა გადამზადებას საათების მეტი რაოდენობა დაუთმოს,
ვიდრე დღემდე, იმ ანგარიშით, რომ კურსების მსმენელმა შესწავ-
ლოს არა მარტო გარკვეული სასწავლო მასალის გადაცემის მეთ-
დები და ხერხები, არამედ, პირველ რიგში, თვით შესასწავლი
მასალაც.

7. ი. გოგებაშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტი-
ტუტმა (ამხ. გ. სეყვარელიძემ):

ა) განახორციელოს ლონისძიებანი უახლოეს 2-3 წელში დაწყ-
ებით კლასებში მათემატიკის სწავლების მეთოდის კურსისა და
მასწავლებელთათვის დამხმარე სახელმძღვანელოების შესაქმნელად;

ბ) მომავალი სასწავლო წლისათვის მოამზადოს სადემონსტრაცი-
ციო პლაკატები;

გ) დაამუშაოს დიდაქტიკური მასალები (ბარათები დ. ვაღნაშვი-
ლით) მოსწავლეებთან ინდივიდუალური მუშაოს ის უკეთესი ორგანიზა-
ციის მიზნით.

8. ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“ (ამხ. გ. საჯაიამ) დ. მ. ტე-
ბამ „დაწყებითი სკოლა და სკოლამდელი აღზრდა“ (ამხ. დ. გურგენ-
იძემ), გაზეთმა „სახალხო განათლება“ (ამხ. ნ. შველიძემ) ფართოდ
გააშუქონ დაწყებით კლასებში მათემატიკის სწავლების საკითხები.

9. სახელმძღვანელოების განყოფილებამ (ამხ. ზ. როგავამ):

ა) უზრუნველყოს მოსამზადებელი კლასის ახალი, გადაბეჭდილი სახელმძღვანელოს, დამხმარე მეთოდური სახელმძღვანელოებისა და თვალსაჩინო მასალების გამოცემა.

10. სკოლების სამმართველომ (ამხ. რ. კანდელაკმა):

ა) მეთოდიკის განყოფილებასთან და პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთან ერთად გადაამუშაოს მითითებული დაწყებით კლასებში მათემატიკაში წერიითი მუშაობის სახეების, რაოდენობისა და შეფასების ნორმების შესახებ, ვანიხილოს იგი დაწყებითი კლასებისა და მათემატიკის სასწავლო-მეთოდური საბჭოების გაერთიანებულ სხდომებზე, მოამზადოს კოლეგიაზე დასამტკიცებლად და გამოსაქვეყნებლად;

ბ) მიმდინარე წლის 15 ივნისამდე ჩატაროს დაწყებითი კლასების მასწავლებელთა რესპუბლიკური თათბირ-სემინარი;

გ) განახორციელოს კონტროლი და ხელმძღვანელობა ამ ბრძანების შესრულების მიმდინარეობაზე.

11. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ო, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა დეტალურად შეისწავლონ დაწყებით კლასებში მათემატიკის სწავლების მდგომარეობა და ვანიხილონ იგი ასსრ სამინისტროების კოლეგიების, სახალხო განათლებისა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პედაგოგიური საბჭოების სხდომებზე.

საფუძველი; საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1975 წლის 6 მარტის დადგენილება.

მინისტრის მოადგილე უ. შ. აბოიძე

საქართველოს სსრ განათლების მინისტრს
აგს. თ. ვ. ლაშქარაშვილს

მოსსენებითი ბარათი

რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს დაწესებით
კლასებში მათემატიკის სწავლების მდგომარეობის შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველომ სასკოლო ინსპექტორ დ. მახარაძის, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს შრომითი და პოლიტიკური სწავლების მეთოდკაბინეტის მეთოდისტების ა. აბაშაძის, მ. კორკოტაშვილისა და ნ. ბენდიაშვილის, მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის დაწესებითი კლასების მეთოდური კაბინეტის გამგის შ. მამალაძის, ამავე ინსტიტუტის მეთოდისტების შ. კავილაძისა და რ. ოვანანიანის, ქ. თბილისის მეთოდკაბინეტის მეთოდისტის მ. თევდორაძის, სასწავლო-აღმზრდელი მუშაობის დარგში კომაროვის სახ. ფიზიკა-მათემატიკური სკოლა-ინტერნატის დირექტორის მოადგილის ა. ბუაძისა და ამავე ინტერნატის მასწავლებლის გ. წულაიას მონაწილეობით 1974 წლის ნოემბერ-დეკემბერში ქ. თბილისის, გეგეჭკორის, მაიაკოვსკის, ხაშურის, ქარელის, ზუგდიდის; წითელწყაროს, ბორჯომის, ახალციხისა და ასპინძის რაიონების ზოგიერთი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დაწესებით კლასებში შესწავლა მათემატიკის სწავლების მდგომარეობა.

როგორც გამოირკვა, დაწესებითი მათემატიკური განათლების ახალი შინაარსი მტკიცედ მკვიდრდება სკოლის ცხოვრებაში.

განვილო პერიოდში მასწავლებელთა დიდმა ნაწილმა შესამჩნევად ამაღლა თავისი თეორიული და მეთოდური ცოდნის დონე. გაკვეთილისათვის მზადების პროცესში ისინი სერიოზულად უდგებიან სწავლების ფორმებისა და მეთოდების შერჩევის საკითხს. აღწევენ სწავლების ისეთ ორგანიზაციას, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავ-



ლეთა მიერ პროგრამით გათვალისწინებული ცოდნა-ჩვევების დაუფლებას.

დამაკმაყოფილებლად მუშაობენ მასწავლებლები: გ. სოსელია (თბილისის 31-ე საშუალო სკოლა), ს. არუთინოვა (თბილისის 117-ე საშ. სკოლა), ს. ნავტიკოვა (თბილისის მე-2 საშ. სკოლა), ნ. გურაშვილი, მ. აერიაშვილი, ი. ჯალიაშვილი (წითელწყაბოს 1-ლი საშ. სკოლა), თ. ჩაფიჩაძე (მაიაკოვსკის რაიონის დიშის 1-ლი საშ. სკოლა), ზ. ხაჭაპურიძე (ახალციხის რაიონის წნისის რვაწლიანი სკოლა), ვ. სკანიძე (ახალციხის რაიონის ურავლის რვაწლიანი სკოლა), ნ. კვინიკაძე (ხაშურის რაიონის სურამის მე-3 საშ. სკოლა), თ. ჩაღუნელი (თაშუაის რაიონის ქვიშხეთის საშ. სკოლა), ლ. მჭედლიშვილი (ხაშურის მე-4 საშ. სკოლა), შ. ბაჩილავა (გეგეჭკორის რაიონის აბჰესის დამოუკიდებელი დაწყებითი სკოლა), ნ. ჭანტურია (გეგეჭკორის მე-2 საშუალო სკოლა), ა. ხაჩატუროვა, ქ. იმერლიშვილი, ქ. შავკანი (ბორჯომის რაიონის ბაკურიანის საშ. სკოლა), თ. ჯომიაშვილი, ა. გურგენიძე (ბორჯომის მე-2 საშ. სკოლა), გ. მამასტარაშვილი (ბორჯომის რაიონის ტაძისის საშ. სკოლა), მ. ცხვედაძე, ნ. კილა-სანია (ქარელის რაიონის აბისის საშ. სკოლა).

დამაკმაყოფილებლად ფლობს საგანსა და მისი სწავლების მეთოდებს მასწავლებელი გ. სვანიძე (ურავლის 8-წლიანი სკოლა). II კლასის მასწავლებელი სათანადო მსჯელობით ხსნიან მაგალითებს. კარგად იციან შეკვებისა და გამოკვლების კომპონენტები და ამ მოქმედებებს შორის კავშირი, შესწევთ ამოცანების შედგენისა და ამოხსნის უნარი. ანალი მასალის ახსნისას მასწავლებელმა გამოიყენა თვალსაჩინოება. გაცვეთილის პროცესში ყველა მოსწავლეს ჰყავდა ჩაბმული მუშაობაში. კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს მოსწავლეთა წერითი ნამუშევრები. დამაკმაყოფილებელია მოსწავლეთა ცოდნის დონე.

პრაქტიკული მასალის მეორე ცოდნა გამოავლინეს II კლასის მოსწავლეებმა (მასწ. თ. ჩაფიჩაძე, მაიაკოვსკის რაიონის დიშის 1-ლი საშ. სკოლა). მასწავლებელი სათანადო ყურადღებას აქცევს ამოცანის ანალიზსა და მისი ამოხსნის დასაბუთებას, კარგად ავარჯიშა მოსწავლეები აგრეთვე გეომეტრიულ მასალაზე. ამ კლასის მოსწავლეთა კარგად აქვთ გამოუმუშავებული გაზომვის ჩვევები, შეთვისებული აქვთ ზებირი და წერითი გამოთვლების ხერხები, კომპონენტებს შორის ურთიერთდამოკიდებულება. ორგანიზებულად მიეცა კლასს დამოუკიდებელი სამუშაო, რომლის სისწორეც კლასში შემოწმდა. მასწავლებელს მხედველობიდან არ გამოარჩენია ციფრების დამწერლო-



ბა, იგი ხშირად მოაგონებდა მოსწავლეებს გაკვეთილზე ჯდომის წესებს.

F 4055

სრულყოფილ ცოდნას აძლევს მოსწავლეებს 1-ლი კლასის მასწავლებელი ზ. ხაჭაპურიძე (წინის 8-წლიანი სკოლა), იგი კლასკომპლექტში ასწავლის I—II კლ. I კლასში გაკვეთილი ზეპირი ანგარიშით დაიწყო (შეკრება-გამოკლება 10-ის ფაოგლეაში), გაკვეთილზე გამოიყენა თვალსაჩინოება; ჩვირები, საანგარიშო და გეომეტრიული ფიგურების მოდელი. მოსწავლეები მასწავლებლის ძიერ დასვლს კითხვებზე დამაკმაყოფილებლად პასუხობენ. მათ გამოსახულების ძიხედვით შეადგინეს ამოცანები. კარგად მოახდინეს მონაკვეთის შედარება, გაარკვეეს მათი ტოლობა და უტოლობა. დამოუკიდებელ სამუშაოდ მიცემული მაგალითები ყველამ სწორად შეასრულა.

ასეთივე სრულყოფილი გაკვეთილი ჩატარა მას II კლასში, სადაც გაკვეთილი დამოუკიდებელი მუშაოვით დაიწყო. საშინაო დანახლები და დამოუკიდებლად მიცემული სამუშაოს შესრულების შემოწმებით გამოიოკვა, რომ ძისი მასწავლეები კარგად ეოკვევიან როვორც განვლილ, ისე მიმდინარე საბოლოო მასალაში. აოიოქეტიკული მასალის სწავლევას მასწავლებელი ორგანულად უკავშიოეს და საკმაო ყურადღეას უთმოს გეომეტრიულ მასალას. ამოცანების ამოხსნასთან ერთად, მოსწავლეები ადგევენ ამოცანებს მიცემული გამოსახულების მიხედვით.

საკონტროლო წერის რვეული მიწესრიგებულია, დაცულია წერის სახეები და ნოოშები, საკონტროლო სამუშაოები მასწავლებლის ძიერ ორიექტურად არის შეფასეული, სისტემატურად ხდება შეცდომების გასწოოეაზე ვარჯიში.

საინტერესო გაკვეთილი ჩატარა 1-ელ კლასში მასწავლებელმა ნ. კვინიკაძემ (სურამის მე-3 საშ. სკოლა). გაკვეთილზე მიზნობრივად იქნა გამოყენებული თიოოეული წუთი. ვიოე დაფასთან გამოძახებული მოსწავლე მიცემულ დავალებას დამოუკიდებლად ასრულებდა, მასწავლებელი კლასთან ზეპირ ანგარიშს ატარედა. მოსწავლეები კარგად ასააუოენდნენ მიღეული შედეგის სისწოოეს. გაკვეთილის ბოოცესში მთელი კლასი იყო ჩაბმული მუშაობაში. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მოსწავლეებს თვითონვე გამოჰქონდათ დასკვნები ამა თუ იმ მაგალითის ამოხსნას. იმ პერიოდში, როცა მასწავლებელი დამოუკიდებელ სამუშაოდ მისაცემ მაგალითებს დაფაზე წერდა, თ-ერთი მოსწავლის ხელმძღვანელობაში ზეპირ ანგარიშში ვარჯიშობდა.

საქართველოს სახელმწიფო ბიბლიოთეკა

კარგ შიდაპედაგოგიკას ტოვებს საკლასო წერის რვეულები. სისტემატურად წარმოებს შეცდომებზე ვარჯიში.

მაელი ენერჯითა და მონდომებით მუშაობს მასწავლებელი დ. მჭედლიძე (ნაშტრის მე-4 საშ. სკოლა). მან ორგანიზებულად შეამოწმა საშინაო დავალება, შემდეგ დაფასთან გამოიძახა მ. სწავლე და დაავალა განტოლების მიხედვით ($y + 5 = 25$) ამოცანის შედგენა და მისი ამოხსნა. კლასის წინაშე ამ დროს დასვა კითხველი და გაარკვია მოცემული გაკვეთალის შეგნებულად შეთვისების ხარისხი, რიცხვის შედგენა და მისი ამოხსნა. კლასის წინაშე ამ დროს დასვა კითხველი და გაარკვია მოცემული გაკვეთილის შეგნებულად შეთვისების ხარისხი, რიცხვის შედგენა სათადარიგო ერთეულების მიხედვით და მოცემული რიცხვის შედგენა სათადარიგო ერთეულებად. მასწავლებლის დავალებით მ. სწავლე და დაფაზე ხაზგეგნ გეომეტრიულ ფიგურებს, გახსოვტავენ მათ დამახასიათებელ ნიშნებს. მოსწავლეებმა ზეპირი ანგარიშის კარგი ცოდნა გამოამჟღავნეს. დამაკმაყოფილებლად ხსნიან ამოცანებს განტოლების შედგენით. საერთოდ, მთელი კლასი აქტიურად აღის ჩაბმული მუშაობაში. დამაკმაყოფილებელია მოსწავლეთა ცოდნის დონე.

დამაკმაყოფილებლად მუშაობს თბილისის 117-ე საშუალო სკოლის III კლასის მასწავლებელი ს. არუთინოვა. მოსწავლეთა ინდივიდუალუ მა და ფრონტალურმა შემოწმებამ ცხადყო, რომ მოსწავლეთა საბროგრამო მასალა კარგად აქვთ ათვისებული. ხსნიან ამოცანებს სათანადო ახსნა-განმარტებით, მსჯელობენ სწორად. მასწავლებელი იყენებს გაკვეთილზე თვალსაჩინოებას: სქემებს—ამოცანების შესადგენად; ნახატებს, გეომეტრიულ ფიგურებს, ფერად ქაღალდებს ფართობის ცნების გასაცნობად. დამოუკიდებელ მუშაობას ატარებს წინასწარ დამზადებული ბარათებით.

აღოგრაბული მასალის დამაკმაყოფილებელი ცოდნა აქვთ ბაკურიანის საშუალო სკოლის რუსული სექტორის 1-ლი კლასის მოსწავლეებს (მასწავლებელი ქ. შავკანი). მიუხედავად იმისა, რომ კლასის ეროვნული შემადგენლოცა მეტად ართულებს მუშაობას (კლასში 18 მოსწავლიდან 8 სომეხია, 4 ოსი, 5 ქართველი და 1 რუსი), მასწავლებელი ქ. შავკანი მასზე დაკისრებულ საქმეს პასუხისმგებლობით კიდება და გარკვეულ წარმატებებსაც აღწევს.

მასწავლებელმა თ. ჯომშიაშვილმა ორგანიზებულად დაიწყო გაკვეთილი მოსამზადებელ კლასში (პორჯომის II საშ. სკოლა). ამ კლასის მოსწავლეები ფლობენ რიცხვების ნუმერაციას 10-ის ფარგ-



ლებში, უკვე ახერხებენ მარტივი ამოცანების შედგენასა და ამოხსნას, ასევე დამაკმაყოფილებელ ცოდნას ამჟღავნებენ გეომეტრიულ მასალაში. კარგად ეუფლებიან პროგრამით გათვალისწინებულ მათემატიკურ ტერმინებსა და სიმბოლოებს. მთელი გაკვეთილის პროცესში კლასი აქტიურია. მასწავლებელმა დიდაქტიკური თამაშით დროულად ჩაატარა. მიუხედავად იმისა, რომ კლასი მეტად მრავალრიცხოვანია (51 მოსწავლეა), ისე ცოცხლად და ხალისიანად წარმართა გაკვეთილი, რომ უყურადღებოდ თითქმის არც ერთი მოსწავლე არ დარჩენილა.

კარგად არის დაუფლებული დაწყებით კლასებში სწავლების ხერხებსა და მეთოდებს მუსამზადებელი კლასის მასწავლებელი ჯალიაშვილი. (წითელწყაროს 1-ლი საშ. სკოლა) მოსწავლეები კარგად არიან დაუფლებული მათემატიკური სიმბოლიკის ზოგიერთ ელემენტებს (მოქმედების ნიშნებს), თანაფარდობის ნიშნებს (მეტი, ნაკლები, ტოლი), შეუძლიათ უმარტივესი მათემატიკური გამოსახულებების ჩაწერა და წაკითხვა, მარტივი ამოცანების შედგენა და ამოხსნა, მასწავლებელი მოხერხებულად იყენებს სწავლების პროცესში თვალსაჩინობას, ასე მაგალითად, კლასის წინაშე დგამს პატარა აკვარიუმს, რომელშიც წყალი ასხია, შიგ ათავსებს სათამაშო თევზებს, ანკვის საშუალებით ამოყავს თითო-თითო თევზი აკვარიუმიდან, რის მიხედვითაც კლასი აღგენს სხვადასხვა სახის ამოცანებს.

ამგვარად აღწევს იგი ბავშვის გონებრივი და ფიზიკური დადოლოლობის თავიდან აცილებას და სწავლისადმი ინტერესის აღძვრას.

საფუძვლიანად ერკვევა მათემატიკის ახალი პროგრამებისა და ახალი სახელმძღვანელოების შინაარსში მასწავლებელი ნ. გურაშვილი (წითელწყაროს 1-ლი საშ. სკოლა). II კლასის მოსწავლეები სათანადო მსჯელობით ხსნიან საკმაოდ რთულ მაგალითებს შეკრება-გამოკლებაზე, გამრავლებაზე და ვაყოფაზე, ერთუცნობიან განტოლებებს, ასახელებენ შეკრებისა და გამოკლების კომპონენტებს.

გეომეტრიულ მასალაზე ვარჯიშის დროს ნ. გურაშვილი ცდილობს მოსწავლეებს მისცეს გაზომვის პრაქტიკული ცოდნა-ჩვევები. მასწავლებლის მითითებით დაფაზე დახაზეს მართკუთხა სამკუთხედი, აღნიშნეს კუთხეები, შემდეგ კი წაიკითხეს ისინი. დამოუკიდებელი სამუშაო, რომელიც კლასს მიეცა, ადგილზევე იქნა შემოწმებული. რიცხვითი ფორმულის მიხედვით მოსწავლეებმა შეადგინეს ამოცანა. გაკვეთილი ძალზე მრავალფეროვანი იყო.



დამაკმაყოფილებელი ცოდნა გამოავლინეს II კლასის მოსწავლეებმა (მასწავლებელი მ. ბერიაშვილი, წითელწყაროს 1-ლი სკოლა). ამ კლასის მოსწავლეებს შესწევთ უნარი დაალაგონ რიცხვები ზრდადობისა და კლებადობის მიხედვით, დაასახელონ, რამდენით მეტია ერთი რიცხვი მეორეზე, რა რიცხვებია მოთავსებული, მაგალითად 6-სა და 8-ს შორის, ან რა რიცხვებია 9-ის შემდეგ, 10-ის წინ და ა. შ. კარგად ადგენენ და ხსნიან ამოცანებს, იციან რიცხვების შემადგენლობა. მასწავლებელმა კლასის აქტიური მონაწილეობით ახსნა ახალი მასალა—შეკრების კომბინენტები და მათივე მონაწილეობით განმარტა, თუ რას ეწოდება შესაკრებები და ჯამი. ვაკვეთილის პროცესში გამოყენებულ იქნა თვალსაჩინოებაც.

მრავალფეროვანი ვაკვეთილი ჩაატარა 1-ელ კლასში მასწავლებელმა გ. სოსელიამ (თბილისის 31-ე საშ. სკოლა). მის ვაკვეთილზე დაცული იყო საშინაო დავალების შემოწმების, მოსწავლეთა გამოკითხვის, ახალი მასალის ახსნისა და განმტკიცების მომენტები. მასწავლებელი გამოძახებული მოსწავლეებისაგან მოითხოვდა სწორ და ამომწურავ პასუხებს. დასვა შეკითხვები გავლილი მასალიდან. გამოიყენა თვალსაჩინოება. აჩვენა მუყაოსაგან გამოჭრილი დიდი ფორმის სამკუთხედი და მართკუთხედი, მოსწავლეებს გამოაჩინებინა ტოლგვერდი და სამკუთხედის პერიმეტრი, სურათის მიხედვით შეადგინეს ამოცანა და ამოხსნეს სათანადო მსჯელობით.

მასწავლებელი გარკვეულ ყურადღებას უთმობს დამოუკიდებელი მუშაობის ჩატარებას. მან არც სახალისო მათემატიკა დაივიწყა: დაფაზე გააკრა მგლისა და კურდღლის სურათი. ბავშვებმა ადვილად იცნეს კინოფილმის „აბა დამაცადე“ გმირები. იგი მიმამართავს კლასს: „მგელს მთბებზედა კურდღლის დეენა, სადაც გამარჯვებული ყოველთვის კურდღელი გამოდის და ეუბნება: „მოდო, მათემატიკაში შემეჯობრე, კურდღელს აჩვენებს მაგალითს 4+5, მგლის გაოცებას საზღვარი არა აქვს, როცა ბაჭიას პასუხს მოისმენს. აქაც აჯობა ჭკვიანმა და მოხერხებულმა კურდღელმა. მასწავლებელი ბოლოს ასე მიმართავს კლასს: მოდიო, ჩვენ ორივეს ვაჯობოთ. შეეადგინოთ უფრო რთული მაგალითები და ამოცანები, რომლებსაც ისინი ვერ ამოხსნიან და იწყება უფრო რთული მაგალითების ამოხსნა.

მაგრამ, მუშაობის პროცესში გარკვეული წარმატებების მიუხედავად, შეინიშნებოდა და ამყამადაც წარმოიშობა გარკვეული სიძნელებები, ვლინდება ნაკლოვანებები.

უბირველეს ყოვლისა, ეს ითქმის თვით გაკვეთილის შესახებ, რომელიც
სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ტარდება ბევრი ისეთი გაკვეთილი, რომ-
ლებზედაც გამოყენებული სწავლების მეთოდები და ხერხები ამუხრუ-
ჭებენ მოსწავლის განვითარებას, ნერვაკენ შაბლონსა და ტრავარეტს
მოსწავლეთა მუშაობაში. ეს, ძირითადად, გამოწვეულია უმცროსი სას-
კოლო ასაკის მოსწავლეთა შესაძლებლობის შეუფასებლობით და,
რაც მთავარია, ახალი პროგრამების პრინციპულ დებულებათა არა-
საკმარისი სიცხადითა და სისრულით განხორციელებით. გაკვეთილზე
ცუდად არის შერწყმული მოსწავლეთა ფრონტალური და ინდივი-
დუალური მუშაობა.

ჯერ კიდევ ბევრ გაკვეთილზე გამოთვლების უნარ-ჩვევებს უყა-
ლიბებენ ერთფეროვან და ერთი ტიპის სავარჯიშოთა დიდ რიცხვზე
იმ მოქმედებათა თვისებებისა და საერთოდ იმ თეორიული მასალის
გარეშე, რომლებიც გამოთვლების უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას
უნდა დაედოს საფუძვლად.

ბევრი მასწავლებელი ჯერ კიდევ ნაკლებად მიმართავს სავარ-
ჯიშოებს შესწავლილი თვისებებისა და გამოთვლითი ხერხების
შედარებასა და შეპირისპირებაზე. გეომეტრიული მასალის სწავლები-
სას სუსტად უმუშაებენ მოსწავლეებს გაზომვისა და ხაზვის პრაქ-
ტიკულ ჩვევებს; თვალზომას, თვითკონტროლისა და ურთიერთკონტ-
როლის ჩვევებს.

ზოგიერთი მასწავლებელი წინა მასალის განმეორებას ვერ ახორ-
ციელებს ახალი მასალის სწავლების პარალელურად, ვერ აძლევს მას
მიზანმიმართულ და რეგულარულ ხასიათს.

დაწყებით კლასებში იშვიათად, ბევრგან კი საერთოდ არ იყე-
ნებენ სწავლების ტექნიკურ საშუალებებს. სისტემატურ ხასიათს არ
ატარებს თვალსაჩინოების გამოყენება, მასწავლებლები განიცდიან
სამეცნიერო და მეთოდური ლიტერატურის, დიდაქტიკური და სხვა
მასალების დიდ ნაკლებობას.

დაწყებითი კლასების მათემატიკის მასწავლებელთა ერთი ნაწილი
ჯერ კიდევ ვერ ფლობს სწავლების ახალ მეთოდებსა და ხერხებს,
რაც უარყოფით გავლენას ახდენს მათი მუშაობის შედეგებზე; ასე-
თებია, მაგალითად, ი. კახნიაშვილი და მ. გურგენიძე (მაიაკოვსკის
რაიონის დიშის 1-ლი საშ. სკოლა), ვ. მესხი (მაიაკოვსკის რაიონის
დიშის 8-წლიანი სკოლა), ე. ჯანჯღავა (გეგეჭკორის რაიონის დიდი-
ჭყონის საშ. სკოლა), ტ. წორქვაძე, ტ. ხაინდრაეა (გეგეჭკორის მე-2
საშ. სკოლა), დ. აიწურაძე (ბორჯომის საშ. სკოლა), ე. მელიქაძე

მ. მექოშვილი (ასპინძის რაიონის ნაქალაქევის საშ. სკოლა); ნ. ვიო-
გაძე (ასპინძის რაიონის იღუმალის 8-წლიანი სკოლა), მ. გუგუშვილი
(ასპინძის რაიონის ოშორის საშ. სკოლა), ელ. კურტანიძე და ნ. ბი-
ჭიაშვილი (ბორჯომის რაიონის ტაძრისის საშ. სკოლა), ე. ბარბაქაძე
(ახალციხის რაიონის ურავლის 8-წლიანი სკოლა), ნ. პაიჭაძე (ბორ-
ჯომის მე-2 საშ. სკოლა), ვ. კაპისაშვილი და ტ. ქობულაშვილი
(ქარელის 1-ლი საშ. სკოლა).

არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ მასწავლებლები: ე. ცუცქი-
რიძე (ახალციხის რაიონის ანის საშ. სკოლა), ქ. მორჩიაშვილი (მაია-
კოვსკის რაიონის ვარციხის დამოუკიდებელი დაწყებითი სკოლა),
მ. მულაძე (ხაშურის რაიონის სურამის მე-3 საშ. სკოლა), ნ. ღონ-
ლაძე (ხაშურის რაიონის ბეკამის 8-წლიანი სკოლა), ნ. მჭედლიძე
(თბილისის 103-ე საშ. სკოლა), კ. ხაინდრავა (გეგეჭკორის რაიონის
ვედიდკარის 8-წლიანი სკოლა), ქს. ესიავა (გეგეჭკორის მე-2 საშ.
სკოლა), ზ. თეთიაშვილი, ვ. კობახიძე (ბორჯომის რაიონის ბაკურია-
ნის საშ. სკოლა), მ. დეკანოსიძე, მ. მარკოზია (ხაშურის მე-4 საშ.
სკოლა), ლ. ქოჩიევა (ბორჯომის რაიონის სადგერის დამოუკიდებელი
დაწყებითი სკოლა), ლ. ნებიერიძე (მაიაკოვსკის რაიონის დიმის
8-წლიანი სკოლა), ნ. ბლიაძე (ხაშურის რაიონის ბეკამის 8-წლიან
სკოლა), ეფ. სარალიძე (ბორჯომის რაიონის ჭობისხევის 8-წლიან
სკოლა), ე. გოცირიძე (ახალციხის რაიონის ურავლის 8-წლიანი
სკოლა), ბ. შენგელია (ზუგდიდის რაიონის ინგირის მე-2 საშ. სკო-
ლა), ქ. ჯიქია (ზუგდიდის რაიონის ახალსოფლის საშ. სკოლა), ს. ფე-
ლანგია (ზუგდიდის რაიონის ცაიშის საშ. სკოლა).

უფერულად, ძალზე დაბალ დონეზე ატარებს მათემატიკის
გაკვეთილებს ანის საშუალო სკოლის მასწავლებელი ელენე ცუცქი-
რიძე (საშუალო პედაგოგიურ განათლებით, 28 წლის სტაჟით).
II კლასში საშინაო დავალებად მიცემული მასალა მოსწავლეთა
უმრავლესობას არ ჰქონდა შესრულებული. სასწავლებელს საშინაო
დავალებას ზერელედ, მოვალეობის მოხდის მიზნით ამოწმებს. დაბა-
ლია კლასის მომზადების დონე. არ იციან ჯამის რიცხვზე გაყოფა,
გამრავლებისა და გაყოფის ცხრილი. მასწავლებელი ერევა მოსწავ-
ლეთა პასუხებში, არ აძლევს მათ მოფიქრების საშუალებას. მოსწავ-
ლე ზ. კაპანაძემ 21—3-ზე ვერ გაყო, 3 ვერ გაამრავლა 8-ზე. მოს-
ხაველევმა ვერ შეძლეს ებოვნათ გამოსახულების $3 \times 8 + 64$ რიცხ-
ვითი მნიშვნელობა.

მასწავლებელი არადამაკმაყოფილებლად ამუშავებს კლასს ამოცანების ამოხსნის ხერხების დაუფლებაზე, რის გამოც კლასში ამოხსნილი ამოცანები მოსწავლეთათვის გაუგებარი რჩება.

მასწავლებელი არ ითვალისწინებს თავისი კლასის მოსწავლეთა შესაძლებლობებს, ამიტომაც იყო, რომ დამოუკიდებელ სამუშაოდ მიცემული დავალების (32:4:8; 36:4:9; (84-64).2 და ა. შ. შესრულება ვერც ერთმა მოსწავლემ ვერ შეძლო. ამასთან, სასურველი იყო დამოუკიდებელი სამუშაო მოსწავლეებისათვის ვარიანტების მიხედვით მიეცა. ასეთივე დონეზე ჩაატარა გაკვეთილი მოსწავლეებმა ე. ცუტქირიძემ I-III კლასშიც, აღნიშნული კლასების მოსწავლეებმა არ იციან - რიცხვების ნუმერაცია და შეკრება-გამოკლება ბირველი ათეულის ფარგლებში, მარტივი ამოცანების ამოხსნა და შედგენა. იმავე მოსწავლეების მიერ III კლასში ჩატარებულ საკონტროლო წერაში მოსწავლეების შეფასებით 12 მოსწავლიდან 6-მა მოსწავლემ არადამაკმაყოფილებელი შეფასება მიიღო, მაგრამ მოსწავლეების ეს შეფასებაც ლიბერალური აღმოჩნდა - ფაქტიურად ყველა მოსწავლის ნამუშევარი იმსახურებს „2“-ს. საკონტროლო წერიდან ირკვევა, რომ მესამე კლასის არცერთმა მოსწავლემ არ იცის სახელდება, რიცხვებზე მოქმედება, განტოლების ამოხსნა და მის შემოწმება.

ვარციხის დამოუკიდებელი დაწყებითი სკოლის მოსწავლეებლ. ქ. მორჩიაშვილი I-III კლასს ასწავლის. იგი არ იცნობს კლასკომპლექტებთან მუშაობის მეთოდიკას. გაკვეთილზე დროს ვერ ანაწილებს, როცა ერთ კლასთან მუშაობს, მეორე კლასისათვის არა აქვს მოფიქრებული შესაფერისი სამუშაო; ასე მაგალითად, III კლასის მოსწავლეები 20 წუთის განმავლობაში მხოლოდ 3 მარტივი მაგალითით დაასაქმა (ამ დროს იგი I კლასთან მუშაობდა).

განტოლებებსა და გამოსახულებებს მასწავლებელი ქ. მორჩიაშვილი არამათემატიკური ენით კარნახობს; ასე მაგალითად, გავხსნათ ფრჩხილი, 30 მიეუმატოთ 40, დავხუროთ ფრჩხილი, გავყოთ 10-ზე... არასწორ ინტერპრეტაციას აძლევს მოსწავლეებს რიცხვი 0-ის შესახებ (0-ს აიგივებს „არაფერთან“), მაგალითის (4+0=) ამოხსნისას იგი კლასს მიმართავს ასე: „4 გაქვს, არაფერი მოგეცი, რამდენი გექნება?“. ამასთან, იგი უშვებს უხეშ შეცდომებს და დაფაზე აკეთებს

ასეთ ჩანაწერს:
$$\begin{array}{l} 0+0=1 \\ 4+0=0 \end{array}$$
 მასწავლებელი არ ემზადება გაკვეთილი-

სათვის; თანმიმდევრულად არ მუშაობს სახელმძღვანელოში მოცემულ

მასლაზე; გაკვეთილზე ფურცლავს სახელმძღვანელოს და ეძებს ვერცხვით ფეროვან მასლას, რაზედაც უნდა ავარჯიშოს მოსწავლეები. III კლასის მოსწავლეებს ელემენტარულ მასლაზე ამუშავებს.

ასეთივე ნაკლოვანებებით ჩაატარა მასწავლებელმა გაკვეთილი III კლასში. ახალი მასალის ახსნა ვერ მოასწრო. საერთოდ, მასწავლებელს ჩვეულებად აქვს ყოველი კითხვის შემდეგ მოსწავლეებს პასუხი მიახვედროს რაიმე პირობითი ნიშნის მიხედვით. ასე მაგალითად, წარმოთქვამს „სა“—მოსწავლეები ამთავრებენ „სახელდებული“, „შე“—„შედგენილი“, „მა“—„მარტივი“ და ა. შ.

მასწავლებელ ქ. მორჩიაშვილს 1-ელ კლასში ჰყავს მეორეწლიანი მოსწავლე თ. ტყემელაშვილი. გამოირკვა, იმავე კლასში ამ მოსწავლის დატოვების მიზეზი მხოლოდ ის ყოფილა, რომ იგი 1-ელ მეოთხედში არ შეფასდა, რადგან როგორც მასწავლებელი განმარტავს: „ბავშვი არის ნაკლებად მხედველი და მშობლებმა არ გაუწიეს საჭირო საექიმო დახმარება, არ შეუძინეს სათვალე“. შემოწმებამ ცხადყო, რომ მოსწავლე თ. ტყემელაშვილს გასული სასწავლო წლის 1-ლი მეოთხედის მანძილზე მხოლოდ 8 საათი აქვს გაცდენილი, ქართულ ენაში აქვს მიღებული 14 ნიშანი, აქედან „2“—12-ჯერ „3“—ერთხელ და „4“ ერთჯერ; ასევე სიმღერაში. სხვა საგნებში კი იგი საერთოდ არ არის გამოკითხული, დანარჩენ მეოთხედებში მას ყველა საგანში აქვს არადამაკმაყოფილებელი შეფასება.

სუსტად ერკვევა პროგრამულ მასლაში სურამის მე-3 საშ. სკოლის მასწავლებელი ა. მულაძე (საშუალო განათლებით, 34 წლის სტაჟით). იგი სრულებით არ არის გაცნობილი იმ სიახლეებს, რასაც მათემატიკის ახალი პროგრამა ითვალისწინებს. ამიტომაც არის, რომ II და III კლასის მოსწავლეებს არ გააჩნიათ მყარი ცოდნა. მასწავლებელი სათანადო ყურადღებას არ აქცევს ამოცანების ანალიზს და მისი ამოხსნის დასაბუთებას; მოსწავლეებს უჭირთ ამოცანების შედგენაც. მოსწავლეებისათვის გაუგებარი იყო მასწავლებლის მიერ ახსნილი მასალა. ვასყოფისა და გამყოფის პოვნაზე მოყვანილ მაგალითებზე დაყრდნობით მოსწავლეებმა ვერ შეძლეს დასკვნის გამოტანა, მათ არ იცინათ ორნიშნა რიცხვების ერთნიშნაზე გაყოფა, ვერ ასახელებენ გამრავლებისა და გაყოფის კომპონენტებს, არ იცინათ კუთხეების აღნიშვნა (კუთხეს აღნიშნავენ ასე $\square A$), ვერც ერთმა მოსწავლემ სწორად ვერ წაიკითხა კუთხე, მასწავლებელი არ მოითხოვს მოსწავლეებისაგან სრულ პასუხებს. არ ატარებს ზეპირ ანგარიშს, დამოუკიდებელ მუშაობას; არ იყენებს თვალსაჩინოებას. დავალებას ზარის

შემდეგ აძლევს, არადამაკმაყოფილებელია მოსწავლეთა ცოდნის დონე. მასწავლებლის მიერ შერჩეული თემატიკის მიხედვით ჩატარებულ იქნა საკონტროლო წერა. 18 მოსწავლიდან ნიშანი „2“ დაიმსახურა 15-მა მოსწავლემ. ამ კლასის აკადემიური მოსწრება კი I მეოთხედში 100%-ია.

სერიოზული ნაკლოვანებები აქვს მუშაობაში გვექვსკორის მე-2 საშუალო სკოლის მასწავლებელს ქ. ესიავას. III კლასის მოსწავლეები ვაუმართავად და არამათემატიკურ ენაზე კითხულობენ გამოსახულებებს. მრავალნიშნა რიცხვების ჩაწერისას ვერ გამოყოფენ კლასებს. მოსწავლეებმა არ იციან უტნობი გასაყოფის პოენის წესი და მიღებული ამონახსნის შემოწმებასაც ფორმალურად ატარებენ.

თვით მასწავლებელი ცუდად ერკვევა ამოცანის ანალიზისა და მისი ამოხსნის დასაბუთებაში, რის შედეგადაც მოსწავლეებსაც უჭირთ ამოცანების ამოხსნა;

კლასში მიცემული ამოცანის ამოხსნისას მან ვერ გააკეთა მოკლე ჩანაწერი დაფაზე, რამაც გაართულა ამოცანის ამოხსნა, შემდეგ კი არასწორად წარმართა მსჯელობაც და ამოცანის ამოხსნაც. ამოხსნის პროცესში მასწავლებელმა 15 კმ ორჯერ (ორიგეჯერ შეცდომით) გადააქცია 1500 მეტრად, რაც შეუნიშნავი დარჩათ მოსწავლეებს და მასწავლებელსაც. საშინაო დავალება ნაჩქარევად (ზარის შემდეგ), ყოველგვარი მითითების გარეშე მიეცა კლასს, გაკვეთილზე არ შეუფასებია არც ერთი მოსწავლე.

მასწავლებელი ქს. ესიავა არასწორად არჩევს საკონტროლო წერის თემატიკას. აშვიათად აძლევს ამოცანებს, ამასთან, III კლასში საკონტროლო დავალებანი მოსწავლეებს ერთ ვარიანტად ეძლევათ, რაც ყოვლად დაუშვებელია. არ წარმოებს მუშაობა შეცდომების გასწორებაზე, დაბალია წერის კულტურა. საერთოდ, არადამაკმაყოფილებელია მოსწავლეთა ცოდნის დონე, რასაც საკონტროლო წერის შედეგებიც ადასტურებს: 23 მოსწავლიდან „2“ დაიმსახურა 17-მა მოსწავლემ. ამ კლასში I მეოთხედის ბოლოს 13 ფრიადოსანი და კარგოსანია. კლასის აკადემიური მოსწრება 100%-ია.

სუსტად მუშაობს II—III კლასების მასწავლებელი ნ. ღონლაძე (ბეკამის 8-წლიანი სკოლა, საშუალო სპეციალური განათლებით, 31 წლის სტაჟით). იგი ყურადღებას არ აქცევს ამოცანების ამოხსნას. მასწავლებელმა ზერელედ, სწრაფად განიხილა 6 ამოცანა ისე, რომ მოსწავლეებს არც ერთი ამოცანის ამოხსნა არ გაუვიათ, ბევრი მათგანი მასწავლებელს არც უხმენდა. ამოცანა № 452 გამოტოვა, რად-

გან ამოცანა იყო გეომეტრიული შინაარსისა და მასზე მუშაობას მოერიდა, ხოლო ამოცანა № 453 ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე მისცა კლასს დამოუკიდებლად სამუშაოდ. ვერც ერთმა მოსწავლემ მისი ამოხსნა ვერ შეძლო.

წესრიგში არ არის საკლასო-საშინაო დავალების რვეულები. მოსწავლეები ვერ იცავენ სისუფთავეს. არ წარმოებს დაშვებულ შეცდომებზე მუშაობა.

სწავლების პროცესში არ იყენებს ისეთი სახის სავარჯიშოებს, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეთა დამოუკიდებელი აზროვნების განვითარებას. იგი მოსწავლეებისაგან მოითხოვს წესების მხოლოდ მექანიკურ დაზებირებას. საშინაო დავალება კლასს მიეცა ზარის შემდეგ, ხმაურში, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე, გაუცნობიერებლად.

ამავე მასწავლებელთან 11 კლასში ჩატარებული საკონტროლო წერის შედეგად 14 მოსწავლიდან ნიშანი „2“ მიიღო 12-მა მოსწავლემ.

მასწავლებელ ნ. ღონღაძეს დახელოვნების კურსები გავლილი აქვს 8 წლის წინათ. ამასთან, იგი, როგორც გამოიჩვენა, თავს არიდებს მეთოდგაერთიანებაში მონაწილეობას, არ ესწრება რაიონის განათლების განყოფილების მეთოდური კაბინეტის მიერ მოწყობილ სემინარულ მუშაობას, სადაც იხილავენ იმ თემებს, რომელთაც გზავნის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტი კურსებგაუვლელ მასწავლებლებთან მუშაობისათვის.

მასწავლებელი ნ. მჭედლიძე (თბილისის 103-ე საშ. სკოლა) ვერ ფლობს საგანსა და მისი სწავლების მეთოდებს. იგი ამოცანის ტექსტს მთლიანად წერს დაფაზე. ამოცანებს ყოველგვარი მსჯელობის გარეშე ხსნის, ასეთ „დამუშავებულ“ ამოცანას აწერინებს რვეულებში, რომელსაც გაკვეთილის ნახევარი ეთმობა. ამავე დროს, ამოცანის ამოხსნისას, გამოთვლებში მასწავლებელი თვითონ უშვებს შეცდომებს. ასე მაგალითად: $4 \times 23.4 = 20 + 12$.

ორნიშნა რიცხვის ორნიშნაზე გაყოფისას ($24 : 12$) მოსწავლის ზებირი მსჯელობა მცდარი ან არარაციონალურია: „24 რომ გავყოთ 12-ზე, საჭიროა ოცი გავყოთ ათზე, ოთხი ორზე“. მასწავლებელი არ უსწორებს, ხოლო მაგალითის $36 : 2$ ამოხსნისას მსჯელობენ ასე: „ჯერ ოცდაათი გავყოთ ორზე, შემდეგ ექვსი გავყოთ ორზე, ან ასე: სამში ორი ჩატევა ერთჯერ; დაგვრჩება ნაშთი 1“ და ა. შ.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ სკოლის დირექტორის მოადგილე სასწავლო-სააღმზრდელო მუშაოის დარგში — ა. კობახიძე სისტემატურ კონტროლსა და დახმარებას უწევს მას, მაგრამ მასწავლებელს წინსვლა არ ეტყობა. ჩვენს მიერ ნ. მჭედლიძის 3 გაკვეთილი იქნა მოსმენილი სხვადასხვა დროს. სამივე ანალოგიური ნაკლოვანეებით ხასიათდება.

II კლასში ჩატარდა საკონტროლო წერა. მოსწავლეთა ნამუშევრები შემმოწმებელმა, მათზე ხელმოწერის შემდეგ, დაუტოვა მასწავლებელს განასწორებლად. ნ. მჭედლიძემ ისარგებლა ამით და მოსწავლეებს შეასწორებინა თავიანთი ნაწერები, ამასთან, ნამუშევრები არაობიექტურად შეაფასა. ვდიქრობთ, აღნიშნული ფაქტი კომენტარს არ საჭიროებს.

მასწავლებელმა ვ. კობახიძემ (ბაკურიანის საშ. სკოლა) I კლასში საშინაო დავალების შემოწმებას 23 წუთი მოანდომა. დამოუკიდებელი სამუშაო კი კლასს იმ დროს მისცა, რომ მოსწავლეებმა სამუშაოს დაწყებაც კი ვერ მოასწრეს. მასწავლებელს გაკვეთილზე არ გამოუკითხავს და არც შეუფასებია არც ერთი მოსწავლე. კლასი ძალზე პასიურობდა. 10 მოსწავლიდან მონაწილეობას ღებულობდა მხოლოდ 5. არ ჩატარებია ზეპირი ანგარიში, არ გამოუყენებია არაეითარი თვალსაჩინოება — არც მოძრავი ციფრები და არც საანგარიშო. ახალი მასალა დაბალ დონეზე იქნა ახსნილი, რის გამოც იგი კლასმა ვერ გაიგო.

ნაკლოვანელებით ხასიათდება მასწავლებელ მ. მარკოზიას მუშაობა (ხაშურის მე-4 სკოლა). III კლასის მოსწავლეთა ერთი ნაწილი არადამაკმაყოფილებლად ერკვევა ვანტოლების შედგენით ამოცნების ამოხსნაში. დამოუკიდებელ სამუშაოდ მიცემული ყველა მაგალითი $(3252 + 2403) \cdot 0 + 8304$ და $(1503 \cdot 0 + 840 \cdot 1)$ მოსწავლეთა უმრავლესობამ მოქმედებათა შესრულების რიგით ამოხსნა მ. შინ, როცა რაღაც მაგალითის პასუხი ისედაც აშკარა უნდა ყოფილიყო მოსწავლეთა ისეთების. მასწავლებელს არ შეუშოვნებია დამოუკიდებელი სამუშაო და არც დაშვებულ შეცდომებზე ყოფილა გამახვილებულა ყურადღება.

ამავე სკოლის II კლასის (მასწ. მ. დეკანოზიძე) მოსწავლეები ვერ ერკვევიან გემეტრიულ მასალაში, ვერ ხაზგანკეთებენ, სამკუთხედებს. არ წარმოიგებს მასწავლეთა მიერ დაშვებულ შეცდომებზე ვარჯიში, საერთოდ, კლასი ნაკლებად აქტიურია გაკვეთილზე.

მასწავლებელი ლ. ქოჩიევა (სადგერის დამოუკიდებელი დაწესებულება) ბითი სკოლა, 36 წლის სტაჟი) ვერ ფლობს კლას-კომპლექტში საერთოდ, დაწყებით კლასებში მუშაობის მეთოდებსა და ხერხებს. კლასი მთელი გაკვეთილის პროცესში პასიურია, ყველა სამუშაოს მასწავლებელი ასრულებს, ამის შედეგია ის, რომ II კლასის მოსწავლეები არ იცნობენ პროგრამით გათვალისწინებულ გეომეტრიულ ფიგურებს (მაგალითად, ერთმანეთში ერევათ მართი, ბლაგვი და მახვილი კუთხეები); არ იციან გამოსახულების შედგენა, მრგვალ ათეულებზე გამრავლება. კლასში მიცემული ამოცანა ვერც ერთმა მოსწავლემ ვერ ამოხსნა. ანალოგიური მდგომარეობაა III კლასშიც: მასწავლებელმა ლ. ქოჩიევამ ფართობის ცნებაზე კლასს მისცა ასეთი მცდარი განმარტება: „წრის ფართობი ნაკლებია სამკუთხედისა და კვადრატის ფართობზე“.

დიმის 8-წლიანი სკოლის III კლასის მასწავლებელი დ. ნებიერიძე არარაციონალურად იყენებს დროს გაკვეთილზე. მან, ნაცვლად იმისა, რომ ამოცანის მოკლე ჩანაწერი გაეკეთებინა დაფაზე, ამოცანის ტექსტი სრულად ჩაწერა, რაზედაც დიდი დრო დაიკარგა. გამოსახულების შედგენის დროს კი სახელდებები მიუწერა რიცხვებს რის შედეგადაც მივიღეთ მცდარი ჩანაწერი:

$$(72 \text{ მან}; 12 \text{ ც.}) \cdot 36 \text{ ც.}$$

$$x = 36 \text{ ც. } 6 \text{ მან.}$$

$$x = 216$$

მასწავლებელი გაუმართავ კითხვებს სვამს გაკვეთილზე. ასე მაგალითად: „1-ლი თანრიგის მოქმედება რომელია?“, „ცენტნერი რომელი საზომი ერთეულია?“ და სხვ. მასწავლებელს არც ერთი მოსწავლე არ შეუფასებია, არც საშინაო დავალება მიუცია.

ამავე სკოლის 1-ლი კლასის მასწავლებელმა ვ. მესხმა მოსწავლეები მთელი გაკვეთილის განმავლობაში ერთფეროვან მასალაზე (სიგრძისა და წონის საზომ ერთეულები) ავირჯიშა. დამოუკიდებელი სამუშაო მასწავლებელმა გაკვეთილის ბოლო წუთებში მისცა კლასს, რის გამოც იგი კლასმა ვერ შეასრულა. მას არც დავალება მიუცია მოსწავლეთათვის.

მასწავლებელი ვ. მესხი, საერთოდ, ნაკლებ ყურადღებას აქცევს ამოცანების ამოხსნას; მას საკონტროლო სამუშაოდ არც ერთი ამოცანა არა აქვს მიცემული.

ნაკლოვანებებით ხასიათდება მასწავლებელ ნ. ბლიაძის მუშაობა (ბეკამის 8 წლიანი სკოლა). ერთფეროვანი იყო მის მიერ 1-ელ კლასში ჩატარებული გაკვეთილი; მასწავლებელს არ უცდია არიომეტრიული მასალისათვის (10-ის ფარგლებში რიცხვების შეკრება-გამოკლებაზე) დაეკავშირებინა გეომეტრიისა და ალგებრის ელემენტარული მასალა, რის შესწავლასაც პროგრამა ითვალისწინებს. უძნელდებათ მაგალითების შედგენა როგორც მოძრავი ციფრების გამოყენებით, ასევე დაფაზე ჩაწერითაც (დაფა დაუხაზავია). ვერ დასახელებენ შეკრებისა და გამოკლების კომპონენტებს, უძნელდებათ მარტივი ამოცანების შედგენა და ამოხსნა, განსაკუთრებით კი კიბვის დასმა ამოცანის ამოხსნისას.

არაორგანოზებული, გაკვეთილის ბოლოს მიეცა კლასს დამოუკიდებელი სამუშაო (მაგალითები: $4+5$, $3+6$, $10-4$), რომლის შესრულებაც ვერ მოასწრეს და წერა დასვენებაზე გაგრძელდა.

მასწავლებელი არ იყენებს სწავლებაში თვალსაჩინოებას.

ევ. სარალიძემ (კობისხევის 8-წლიანი სკოლა) გაკვეთილი ასეთი შეკითხვით დაიწყო: „რა გეჭონდა წასაკითხად?“ პასუხი: „წასაკითხად გეჭონდა საკლები, მაკლები და სხვაობა“. ნ. ცეკლად იმისა, რომ მასწავლებელს ეწარმოებინა პრაქტიკული მუშაობა მოცემულ მაგალითებში დასახელებული კომპონენტების პოვნაზე ან დასახელებული კომპონენტებით შეედგინათ მაგალითები, მოსწავლეებს წინაშე წასაკითხად საშინაო დავალებად მიეცათ მასალა. შემდეგ, ყოველგვარი მსჯელობის გარეშე, ამოხსნეს მარტივი ამოცანა. მასწავლებელმა გეომეტრიულ მასალაზე ვარჯიშში შემდეგი დავალებით დაიწყო: დაავალა მასწავლებელს, დაეხაზათ 5 სმ სიგრძის მონაკვეთი, ამასთან, „შეახსენა“, რომ დაფის 2 უჯრა 1 სმ-ის ტოლი იყო, რაც სინამდვილეს არ შეეფერებოდა. ნ. ცეკლად იმისა, რომ დაფაზე ზუსტად 5 სმ-იანი მონაკვეთი დაეხაზათ სახაზავით, მასწავლებლის ასეთმა განმარტებამ ისინი შეცდომაში შეიყვანა, რის გამოც 5 სმ-ის ნაცვლად მათ სხვა სიგრძის მონაკვეთი დაეხაზეს. მასწავლებელმა ჩხირების გამოყენებით ავარჯიშა მოსწავლეები რიცხვების ტოლობასა და უტოლობაზე და მასალა მოსწავლეებმა ვერ კიდევ არაღამაკმაყოფილებლად იციან. მართალია, ისინი ზებირად დასახელებენ შეკრებისა და გამოკლების კომპონენტებს, მაგრამ თვითონ მაგალითში ვერ პოულობენ აღნიშნული კომპონენტებს, გაკვეთილის ბოლოს მიეცათ დამოუკიდებელი სამუშაო რომლის შემოწმებაც მასწავლებელმა ვერ შეკლო. ზარის დაკეცვის გამო მას არც საშინაო დავალება მიუტია.

წნისის რვაწლიანი სკოლის II კლასის მასწავლებელი ფ. გვარამია კარგად არ იცნობს ახალი პროგრამის მოთხოვნებს. საშინაო დავალების შემოწმების დროს გამოიჩინა, რომ ყველა მოსწავლეს დავალება არ ჰქონდა შესრულებული. მოსწავლეთა ერთ ნაწილს არ შეუძლია ისეთი მარტივი დავალებების შესრულება, როგორცაა ერთმოქმედებიანი მაგალითების ამოხსნა ($81 : 9$; 25.5 ; $72 : 3$; $240 : 6$; $810 : 9$; $800 : 8$; $100 : 8$; $800-400$) და მოცემული პარამეტრებით მართკუთხედის დაზავა. მოსწავლეებს არასწორი წარმოდგენა აქვთ რეალური საგნების ზედაპირის ფართობთა თანაფარდობის შესახებ; ასე მაგალითად, მათ ვერ შეძლეს აზრი გამოეთქვათ მაგიდის ზედაპირისა და ჟურნალის ყდის ზედაპირის ფართობთა შეფარდების შესახებ. ასევე სუსტად ერკვევიან კომპონენტებს შორის დამოკიდებულებაში, რის გამოც გაუძნელდათ $(32 \cdot x) : 32 = 5$ და $83 - (x + 12) : 5$ განტოლებების ამოხსნა. მოსწავლეებს უძნელდებათ აგრეთვე არარატიული შედგენილი ამოცანების ამოხსნა რიცხვიდან ნაწილის პოვნაზე.

ბაკურიანის საშ. სკოლის III კლასის მოსწავლეებმა (მასწავლებელი ზ. თედიაშვილი) არ იციან გამრავლების ე. წ. განსაკუთრებული შემთხვევები (0-ზე და 1-ზე გამრავლება). სამი მარტივი მაგალითის $(32 + 2403) \cdot 0 + 830,4$; $(25715 \cdot 0 + 4118) \cdot 8$; $(15608 \cdot 1 - 13210) \cdot 0$ ამოხსნას დაეთმო თითქმის მთელი გაკვეთილი, მაშინ როდესაც მათი ამოხსნა ზებირადაც შეიძლებოდა.

გარდა ამისა, მასწავლებელს შეუშინეველი დარჩა მოსწავლის მიერ დაშვებული შეცდომა. ერთ-ერთ მაგალითში მოსწავლემ ჯერ პირველი საფეხურის მოქმედება შეასრულა, შემდეგ კი — II. მასწავლებელი სუსტად ფლობს საგანს, არ იყენებს თვალსაჩინოებას, ვერ იცავს გაკვეთილის მომენტებს. ნიშანზე არ აფასებს მოსწავლეებს, არ წარმოებს მოსწავლეთა მიერ დაშვებულ შეცდომებზე მუშაობა. ნაწერები უსუფთაოა.

III კლასის მოსწავლეებს (მასწ. ე. გოცირიძე, ურავლის 8-წლიანი სკოლა) უძნელდებათ სახელდებულ რიცხვებზე მოქმედების წარმოება. მოსწავლეები კარგად ვერ ერკვევიან რიცხვების კლასებსა და თანრიგებში. ამის ერთ-ერთი მიზეზი ისიცაა, რომ არაზუსტია თვით მასწავლებლის მიერ დასმული კითხვები და მიცემული განმარტებანი ამ საკითხთან დაკავშირებით; ასე მაგალითად, ამოცანის ამოხსნისას არ ტარდება საჭირო ანალიზი, არ ხდება ყურადღების გამახვილება ამ საკითხებზე, რაც გაუადვილებს ბავშვებს თვით ამოცანის ამოხ-



სწას. საკლასო სამუშაოს შესრულების პროცესში, როცა მასწავლებელი ერთ მოსწავლესთან მუშაობდა, დანარჩენები ამ დროს საკლასო-საშინაო დავალების რვეულებში არაფერს არ იწერდნენ, არ ჩატარებია ზეპირი ანგარიში, დამოუკიდებელი მუშაობა, ნაკლებ ყურადღებას აქცევს გეომეტრიულ მასალაზე ვარჯიშს, არადამაკმაყოფილებელ შთაბეჭდილებას ტოვებს საკონტროლო წერის რვეულებში.

ნაკლოვანებები შეინიშნება ზუგდიდის რაიონის (ინვირის II საშ. სკოლის მასწავლებლის ბ. შენგელიას, ახალსოფლის საშ. სკოლის ქ. ჯიქიას და ცაიშის საშუალო სკოლის—ს. ფელანგიას) დაწყებითი კლასების მასწავლებელთა მუშაობაში.

მასწავლებელი კ. ხაინდრავა (ვედიდკარის რვაწლიანი სკოლა) უმიზნოდ ხარჯავს დიდ დროს მიცემული დავალების შესრულების შემოწმებაზე, მოსწავლეებს დაფაზე გადააქვთ და განმეორებით ხსნიან საშინაო დავალებად მიცემულ მაგალითებს (მათ შორის სწორად ამოხსნილ მაგალითებსაც კი). იგი, ნაცვლად იმისა, რომ მოსწავლეები მიაჩვიოს სწორ აზროვნებას, გამოუმუშაოს მათ დამოუკიდებელი მსჯელობის უნარი, აჩვენებს მექანიკურ მუშაობას, ხშირ შემთხვევაში კი უადგილოდ ერევა მოსწავლეთა პასუხებს.

ჯ. ხაინდრავა სუსტად უმუშავეს მოსწავლეებს ამოცანების ანალიზის უნარს. მართალია, მასწავლებლის დანმარებითა მოსწავლეები ახერხებენ ამოცანის გამოსახულების შედგენას, მაგრამ ვერ ერკვევიან გამოსახულების არსში, მოსწავლეებს უჭირთ მაგალითების ამოხსნა ჯამიდან რიცხვის გამოკლებაზე სამივე ხეობით.

არადამაკმაყოფილებლად იქნა ახსნილი ახალი მასალა, რის გამოც დამოუკიდებელ სამუშაოდ მიცემული მაგალითები კლასმა ვერ დაძლია.

საერთოდ დაბალია, კლასის მომზადების დონე, ჩვენ მიერ ჩატარებულ საკონტროლო წერაში 19 მოსწავლიდან არადამაკმაყოფილებელი შეფასება დაიმსახურა 10-მა მოსწავლემ.

ერთფეროვანი გაკვეთილი ჩაატარა III კლასში მასწავლებელმა დ. აიწურაძემ (წალვერის საშ. სკოლა). მთელი გაკვეთილი ორნიშნა რიცხვების ერთნიშნა და ორნიშნაზე გამრავლებას დაეთმო. ამასთან მასწავლებელი მხოლოდ რამდენიმე მაგალითის ამოხსნით შემოიფარგლა, შემდეგ კი შეეცადა ამოცანის ამოხსნას. მოსწავლეებმა, ნაცვლად იმისა, რომ ამოცანის მოკლე ჩანაწერი გაეკეთებინათ, მთლიანი ტექსტი გადაწერეს წიგნიდან, რის გამოც ამოცანის ამოხსნა ვერ მოსწრეს. მასწავლებელმა ვერც საშინაო დავალების მიცემა მოახერხა.



სტუდენტად მუშაობს მასწავლებელი ნ. ჯავახიშვილი (თბილისის 26-ე საშ. სკოლის II კლასი). მოსწავლეთა უმრავლესობა ვერ ამე-
ლავენეს საპროგრამო მასალის ცოდნას. მასწავლებელი ყურადღებას
არ ამახვილებს მოსწავლეთა პასუხეაზე, გაუსწორებელი რჩება მათ
მეორე დაშვებული შეცდომებიც; ასე მაგალითად: „I შესაკრები უდრის
ჯამს, მიმატებული II შესაკრები“, განტოლების $30 - (x + 7) = 12$
ამოხსნისას x -ის მნიშვნელობა არასწორად გამოიანგარიშეს, ნაშუავე-
რე ი არაობიექტურად იქნა შეფასებული.

გაკვეთილის მომენტებს ვერ იცავს დაბა ასპინძის II კლასის
მასწავლებელი მ. ნათენაძე. მისი მოსწავლეები ძალზე პასიურები
აიიან ვაკვეთილებაზე. ამასთან, უჭირთ მარტივი ამოცანების შედგენა
და ამოხსნა, მასწავლებელი არ იყენებს თვალსაჩინოებას, არ ატარებს
ზეზირ ანგარიშს, არ ამოწმებს დამოუკიდებელი სამუშაოს ხ.რისხს,
არ ახდენს მოსწავლეთა შეფასებას. საკონტროლო წერის რვეულების
შემოწმებამ ნათელი გახადა, რომ მოსწავლეთს უჭირთ ამოცანის
მკვლე ჩანაწერის გაკეთება, მასწავლებელი არაობიექტურად აფასებს
მოსწავლეთს, ამასთან, ნაწერეში გაპარულია შეცდომები.

ნაკლოვანებები შეინიშნება აგარის საშუალო სკოლის III კლა-
სის მასწავლებელ ა. ოდიკაძის მუშაობაში. მასწავლებელს შეუნიშნავი
დაიჩა მასწავლის მიერ დაფაზე $(x : 5) : 4 = 15$ განტოლების არა-
სწორი ამოხსნა. დამოუკიდებელი სამუშაო კლასს ვაკვეთილის ბოლო
წუთებში მიეცა, მისი შესრულება მხოლოდ ერთმა მოსწავლემ
შეძლო.

დაბალია მათემატიკის სწავლების დონე თბილისის 96-ე საშ.
სკოლის III კლასში (მასწ. მ. ს. ზამორინა). იგი არასწორად ანაწი-
ლებს დროს ვაკვეთილზე. ახალი მასალის ახსნას—მრავალნიშნა ოციბ-
ვეის გამრავლება ერთნიშნაზე—მასწავლებელმა მხოლოდ 5 წუთი
დაუთმო, შემოიფარგლა მხოლოდ ერთი მაგალითის ამოხსნით
($+26 \times 3$). განმტკიცებისას კი მან დამოუკიდებელ სამუშაოდ მისცა
კიდევ ერთი მაგალითი (5623×5), რაც, ბუნებრივია, მოსწავლეთათვის
დასაძლევი არ იყო.

არადამაკმაყოფილებლად ასწავლის მათემატიკას III კლასში
მასწავლებელი დ. ს. თათანაშვილი (დბილისის მე-2 საშ. სკოლა). იგი
საკმარის ყურადღებას არ აქცევს ამოცანების ამოხსნას. ამის შედეგია
ის, რომ ამ კლასში ჩატარებულ საკონტროლო წერაში 27 მოსწავ-
ლიდან არადამაკმაყოფილებელი შეფასება მიიღო 16-მა.



საკლასო-საკონტროლო წერის რეგულაციის შემოწმებამ ცხადყოფს, რომ დაწყებითი კლასების მოსწავლეთა საგრძნობლად დიდ ნაწილს უჭირს ამოცანების ამოხსნა. მასწავლებლები ნაკლებად მუშაობენ ამ მიმართებაზე; არ იცავენ წერის ნორმებსა და სახეებს, წერას ერთ ვარიანტად ატარებენ და, რაც მთავარია, თავს არიდებენ საკონტროლო სამუშაოდ ამოცანების ამოხსნას. სწორედ ამის შედეგია ის, რომ თბილისის 117-ე საშუალო სკოლის II კლასის (მასწავლებელი ი. თიბერიძე) 30 მოსწავლიდან ამოცანა ვერ ამოხსნა 20-მა მოსწავლემ, თბილისის 103-ე საშუალო სკოლის III კლასის (მასწ. ა. კოშკელავა) 39-დან 32-მა, იმავე სკოლის II კლასში (მასწ. ნ. მჭედლიძე) 18-დან 11-მა. თბილისის 26-ე საშუალო სკოლის III კლასის (მასწავლებელი ნ. გოგიაშვილი) 26 მოსწავლიდან ვერ ამოხსნა 14-მა და ა. შ.

ზემოაღნიშნული ნაკლოვანებების მიზეზი ისიცაა, რომ სუსტია კონტროლი და დახმარება დაწყებითი კლასების მასწავლებელთა მუშაობაზე. ამას ისიც აფერხებს, რომ მთელ რიგ სკოლებში დირექტორები და მათი მოადგილეები სასწავლო-აღმზრდელიობითი მუშაობის დარგში ჰუმანიტარული დისციპლინების სპეციალისტები არიან, რის გამოც ვერ ხერხდება მათემატიკური ციკლის დისციპლინების საფუძვლიანი შემოწმება; ასეთი მდგომარეობაა, მაგალითად, ურავლის, წნისის, ვედიდკარის, ცხრაშენის, ბეკამის 8-წლიან, ქვიშხეთის, სურამის 1-ელ, ინჩხურის, გეგეჭკორის, მე-2 საშუალო და სხვ. სკოლებში.

ამასთან ერთად, სკოლების ხელმძღვანელები იშვიათად; ზოგჯერ კი სრულიადაც არ ესწრებიან მათ გაკვეთილებს, სათანადო მეთოდურ დახმარებას ვერ უწყვენ მასწავლებლებს. დაწყებით კლასებში მათემატიკის არც ერთი გაკვეთილი არა აქვთ მოსმენილი ქვიშხეთის, დიდიჭყონის, იტრიის საშუალო და ბეკამის რვაწლიანი სკოლების დირექტორებს; ურავლის, ვედიდკარის რვაწლიანი, ანისის, ანის საშუალო სკოლების დირექტორის მოადგილეს სასწავლო-აღმზრდელიობითი მუშაობის დარგში მხოლოდ 1—2 გაკვეთილი აქვთ მოსმენილი წნისისა და ვედიდკარის რვაწლიანი, ტაძრისის, ანის, ხაშურის მე-4, სურამის 1-ლი და ბორჯომის მე-2 საშუალო სკოლების დირექტორებს; წნისის რვაწლიანი, ნაქალაქევის, ქარელის 1-ლი, ქვიშხეთის, იტრიისა და სურამის 1-ლი საშუალო სკოლების დირექტორების მოადგილეს სასწავლო-აღმზრდელიობითი მუშაობის დარგში.

პედაგოგიური საბჭოების სხდომებზე ზოგჯერ არაკვალიფიციურად იხილება მათემატიკის სწავლება, ბევრგან კი საერთოდ არა



აქვთ გათვალისწინებული მისი შესწავლა; ასე მაგალითად, გაგაგა რის რაიონის ვედიდკარის 8-წლიან სკოლას მათემატიკის სწავლება არც გასულ და არც მიმდინარე სასწავლო წელს არ განხილავს. ანალოგიური მდგომარეობაა იჩხუტის საშუალო სკოლაშიც.

ქარელის 1-ელ საშუალო სკოლას 1974 წლის მარტის თვეში პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე აქვს განხილული მათემატიკის სწავლება დაწყებით კლასებში. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მოხსენებელი ბ. არდემაშვილი მხოლოდ 5 გაკვეთილის (თითო კლასში თითო გაკვეთილი) მოსმენით დაკმაყოფილებულა და საკითხი სათანადოდ შესწავლის გარეშე გაუტანია პედსაბჭოს სხდომაზე. ანალოგიური მდგომარეობაა აგაონის საშუალო სკოლაშიც.

დიდი ჭყონის საშუალო სკოლაში 1974 წლის 25 თებერვალს პედსაბჭოს მოუსმენია მათემატიკის სწავლების საკითხი მოსამზადებელ და I—III კლასე-ში, მაგრამ იგი ზერეულდ არის განხილული. მიღებულ დადგენილებაში არც ერთი მასწავლებლის გვარი არ არის მინიშნებული კონკრეტულად, არც ის არის აღნიშნული, ვის რა დაევალა.

პედსაბჭოს ოქმებში ვხვდებით ერთგვარ შეუსაბამობასაც; ასე მაგალითად, ვარცის დამოუკიდებელ დაწყებით სკოლას 1974 წლის 1-ელ ოქტომბერს პედთათბირზე განხილული აქვს მათემატიკის სწავლება I—III კლასებში. ოქმის საკონსტატაციო ნაწილში აღნიშნულია, რომ მასწავლებელი ა. ბობერი მათემატიკის სწავლებაში ფართოდ იყენებს თვალსაჩინოებას“... დადგენილებაში კი წერია: „დაევალოს I—III კლასების მასწავლებელს ა. ბობერს გამოიყენოს სწავლებაში თვალსაჩინოება“.

სეროიზული ნაკლოვანებებით ხასიათდება მეთოდგაერთიანებათა მუშაობა. ბევრგან ისინი ფორმალურ ხასიათს ატარებს, ქმედით დახმარებას ვერ უწყევენ დაწყებითი კლასების მასწავლებლებს.

ქ. თბილისის ზოგიერთი რაიონის სკოლაში ჩამოყალიბებულია საგნობრივი მეთოდგაერთიანებანი, ზოგან კი—მხოლოდ რაიონულია. რაიონული მეთოდგაერთიანება პასუხისმგებლობას ხსნის მასწავლებელს, რადგან არის შემთხვევა, რომ მთელი სასწავლო წლის მანძილზე მასწავლებელს ერთხელაც არ უხდება თემის დამუშავება; ასე მაგალითად, თბილისის 89-ე საშუალო სკოლის დაწყებითი კლასის არც ერთ მასწავლებელს არც გასულ და არც მიმდინარე სასწავლო წელს რაიონულ მეთოდგაერთიანებებზე მოხსენება არა აქვს წაკითხული.

რესპუბლიკის რაიონების სკოლებში ზოგან მხოლოდ კლასის ხელმძღვანელთა მეთოდგაერთიანება შექმნილი, სადაც მხოლოდ აღზრდის საკითხებია გათვალისწინებული; ასე მაგალითად: ზუგდიდის რაიონის ინგირის I და II, ახალსოფლის, ცაიშია საშუალო, გეგეჭკორის რაიონის ინჩხურის საშუალო და აბჰესის დამოუკიდებელ დაწყებით სკოლე ში. ზოგან კი არც ერთი სახის მეთოდგაერთიანება არაა შექმნილი; ასე მაგალითად, ღორჯომის რაიონის კობისხეცია 8-წლიან და ქარეღია რაიონის ა. ისის საშუალო სკოლებში.

მეთოდგაერთიანებათა ხელმძღვანელები უბასუხისმგებლოდ ეკიდებიან დასამუშავებელი თემების შერჩევას. ამის შედეგია ის, რომ კობისხეცის 8-წლიანი სკოლის გასული სასწავლო წლის სამუშაო გეგმაში მეთეპედიკის სწავლებაზე არც ერთი საკითხი არაა გათვალისწინებული; ანალოგიური მდგომარეობაა ქარეღის მე-3 საშუალო სკოლაშიც.

ბაკურიანის საშუალო სკოლის ქართული და რუსული სექტორების მეთოდგაერთიანე ის სამუშაო გეგმების მიხედვით სხდომების ჩატარება მხოლოდ ოქტომბრისა და დეკემბრის თვეში არის გათვალისწინებული, იის შედეგადაც ყოველ სხდომაზე 3—3 მოხსენებას ისმენენ.

გეგეჭკორის მე-2 საშუალო სკოლაში მეთოდგაერთიანების სხდომა, ხაცლად 5-ისა, ჩატარებულა ერთხელ, ხოლო ინჩხურის საშუალო სკოლაში ნაცვლად 4-ისა, ჩატარებულა 2-ჯერ.

ამასთან, თემების უმრავლესობა ფორმალური ხასიათისაა, არ ჩანს მასწავლებელთა საკუთარი გამოცდილება, ისინი ენობრივად გაუმართავია და მხოლოდ 2—3 ფურცელზეა დაწერილი ვალის მოხდის მიზნით.

ზემოაღნიშნულ რაიონებში 100-მდე მასწავლებლის მუშაობა იქნა შესწავლილი, რამაც ნათელი გახადა, რომ დაწყებითი კლასების მასწავლებელთა უმრავლესობას გავლელი აქვს დახელოვნების კურსები ახალ პროგრამაზე გადასვლასთან დაკავშირებით. მაგრამ ამ მიმართებით ჯერ კიდევ ყველაფერი რიგზე როდია. ზოგ მათგანს დახელოვნების კურსები (მიუხედავად იმისა, რომ მათ საკმაროდ დიდი მუშაობის სტაჟი აქვთ) საერთოდ არ გაუვლიათ, ზოგს კი იგი 8—10 წლის წინ აქვს გავლილი.

დახელოვნების კურსები საერთოდ არ გაუვლია ნ. კილასონიას (აბისის საშუალო სკოლა, 22 წლის სტაჟი), ც. შუბიტიძეს (აგარის საშ. სკოლა, 18 წლის სტაჟი), ლ. მელიქიძეს (დაბა ასპინძის საშ.



სკოლა, 31 წლის სტაჟი), დ. ქომელაშვილს (ქარელის 1-ლი სკოლა, 16 წლის სტაჟი), ხოლო მასწავლებლებს: ნ. ბლიაძეს, ნ. ღონღაძეს (ბეკაძის 8-წლიანი სკოლა); გ. ბარბაქაძეს; ნ. ცერცვაძეს, გ. ღონღაძეს (ცხრაშენის 8-წლიანი სკოლა), ქს. ესიავის, ტ. წირქვაძეს, ტ. ხაინდრავას (გეგეჭკორის მე-2 საშ. სკოლა) დახელოვნების კურსები 8—10 წლის წინ აქვთ გავლილი.

ხაშურის რაიონის დაწყებითი კლასების 225 მასწავლებლიდან დახელოვნების კურსები, ახალ პროგრამებზე გადასვლასთან დაკავშირებით, გავლილი არა აქვს 119 მასწავლებელს.

გარკვეულ ღონისძიებათა გატარებას საჭიროებს მასწავლებელთა კადრების გაუმჯობესება. რესპუბლიკაში 17620 დაწყებითი კლასების მასწავლებლიდან უმაღლესი განათლება აქვს—7118-ს, 2—3 წლიანი ინსტიტუტი დამთავრებული აქვს—2382-ს, საშუალო სპეციალური განათლებითაა—7360, საშუალო განათლებით—760.

რესპუბლიკის დაწყებითი კლასების 17.620 მასწავლებლიდან დახელოვნების კურსები გავლილი აქვს 10.814 მასწავლებელს, ანუ მათი საერთო რაოდენობის 71,3% -ს.

- დ. მახარაძე (ხელმძღვანელი)
- ა. აბაშიძე
- ნ. ბენდიაშვილი
- შ. მამალაძე
- შ. კავილაძე
- რ. ოვანანიანი
- მ. თევდორაძე
- ა. ბუაძე
- ა. წულაია

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლე-
გიის, საქართველოს ალკ ცენტრალური კომიტეტის
ბიუროსა და საქართველოს სსრ „დოსააფის“ ცენტრა-
ლური კომიტეტის პრეზიდიუმის ერთობლივი

რ ე რ გ ე ნ ი ლ ე ბ ე

სა ოტის ტექნიკურ სახეებში რესპუბლიკური შეჯ ბრებების
ჩატარების შესახებ

3 აპრილი, 1975 წელი

ვანიკებთ რა დიდ მნიშვნელობას პიონერ-მოსწავლეთა შორის
სპორტის ტექნიკურ სახეებში მუშაობას, საქართველოს სსრ განათ-
ლების სამინისტროს კოლეგია, საქართველოს ალკ ცენტრალური
კომიტეტის ბიურო და საქართველოს სსრ „დოსააფის“ ცენტრალური
კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენენ:

1. ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის ბაზაზე 1975
წელს ჩატარდეს რესპუბლიკური შეჯიბრებები სპორტის ტექნიკურ
სახეებში.

შეჯიბრე ები მიეძღვნას საბჭოთა ხალხის დიდ სამამულო ომში
გამარჯვე ის 30-ე წლისთავს და ჩატარდეს შემდეგ ვადებში:

ა) ნორჩ რადიოსპორტსმენთა მე-8 რესპუბლიკური შეჯიბრი-
1975 წლის 15-დან 21 ივნისამდე;

ბ) ნორჩ ავტომოდელისტთა მე-7 რესპუბლიკური შეჯიბრი-1975
წლის 24-დან 26 ივნისამდე;

გ) ნორჩ გემთმოდელისტთა მე-10 რესპუბლიკური შეჯიბრი-
1975 წლის 26-დან 30 ივნისამდე;

დ) ნორჩ ავიათმოდელისტთა 43-ე რესპუბლიკური შეჯიბრი-1975
წლის 1-დან 5 ივლისამდე;

9. კამაზოვი სერგო—საქართველოს სსრ „დოსააფის“ თბილისის კომიტეტის თავმჯდომარე.

III. სპორტის ტექნიკურ სახეეში რესპუბლიკური შეჯიბრებების ჩატარების დებულებები დამტკიცდეს (თან ერთის).

IV. სპორტის ტექნიკურ სახეეში შეჯიბრებების ჩამტარებელმა საორგანიზაციო კომიტეტმა უხელმძღვანელოს მათი მომზადებისა და ჩატარების საქმეს და პერიოდულად მოახსენოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს, საქართველოს ალკც ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ „დოსააფის“ რესპუბლიკურ კომიტეტს შეჯიბრებისათვის რაიონებისა და ქალაქების ნაკრები გუნდების მზადყოფნის მდგომარეობის შესახებ.

V. ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალურმა სადგურმა (დირექტორმა ა.მ. გ. ებიტაშვილმა):

ა) დროულად ჩაატაროს მოსამზადებელი მუშაობა და ტექნიკური წრეები უზრუნველყოს საჭირო მეთოდური მასალებით;

ბ) შეჯიბრებების მომზადების საქმეში გაუწიოს სათანადო დახმარება სკოლებსა და სკოლისგარეშე დაწესებულებებში მომუშავე სპორტის ტექნიკურ სახეობათა წრეების ხელმძღვანელებს;

გ) ა/წლის 1-ელ სექტემბრამდე შეადგინოს და წარუდგინოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მომარაგებისა და დამხმარე საწარმოთა სამმართველოსა და საქართველოს სსრ „დოსააფის“ ცენტრალურ კომიტეტს განაცხადი 1976 წლისათვის სპორტის ტექნიკურ სახეობათა წრეების აუცილებელი მასალებითა და ძრავებით უზრუნველყოფის შესახებ;

დ) მოამზადოს და 1975-76 სასწავლო წლის დასაწყისისათვის უზრუნველყოს სპორტის ტექნიკურ სახეობათა წრეები სათანადო რაოდენობის მეთოდური მასალებით, ნახაზებითა და აღწერილობით.

VI. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა, საქართველოს ალკც სკოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების მდივნებმა და „დოსააფის“ რაიონულმა, საქალაქო და სკოლქო კომიტეტების თავმჯდომარეებმა:

ა) რვაწლიანი და საშუალო სკოლებს, სკოლა-ინტერნატებისა და სკოლისგარეშე საბავშვო დაწესებულებათა დირექტორებსა და ტექნიკური წრეების ხელმძღვანელებს ვაცნონ მომავალ სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობის პირობები და შეჯიბრებებში მონაწი-



ლეობის უზრუნველყოფის მიზნით დასახ. ნ და გაატარონ პ. აქტიური
 ლი ლონისძიე ები;

ბ) შეჯიბრების ჩასატარებლად ზესტად იხელმძღვანელონ არსე-
 ბული დებულებებით;

გ) ადგილებზე ჩაატარონ შეჯიბრებები, უზრუნველყონ სთანა-
 დოდ მომზადებული ნაყრები გუნდის დაკომპლექტება და ინდივი-
 დუალური მონაწილეების შერჩევა რესპუბლიკური შეჯიბრებისათ-
 ვის;

დ) მიიღონ ქმედითი ზომები, რათა სკოლებს უმრავლესობაში,
 განსაკუთრებით კი სკოლისგარეშე დაწესებულებებში ჩამოყალიბდეს
 სპორტის ტექნიკურ სახეობათა წრეები და ყოველმხრივ შეუწყონ
 ხელი მათ ნაყოფიერ მუშაობას;

ე) რესპუბლიკური შეჯიბრებებისათვის მზადება, რეგორ. წესი,
 დაიწყონ ყოველი სასწავლო წლის დასაწყისიდან

VII. პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე ისა და სახლების ნორჩ
 ტექნიკოსთა საოლქო და საქალაქო სადგურებმა მიიღონ გადამჭრე-
 ლი ზომები სპორტის ტექნიკურ სახეობათა წრეების ნორმალური
 მუშაობისათვის და მათი საქმიანობა მჭიდროდ დაუკავშირონ მომავალი
 შეჯიბრებების ამოცანებს.

VIII. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სავეგეო-
 საფინანსო სამმართველომ (ამხ. ა. კვაჭაძემ) გაითვალისწინოს ნორჩ
 ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის 1976 წლის ბიუჯეტში სპორტის
 ტექნიკურ სახეობათა რესპუბლიკური შეჯიბრებების ჩატარების, მე-
 თოდური მასალების შედგენისა და ბეჭდვისათვის საჭირო თანხა.

IX. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მამარაგებისა
 და დამხმარე საწარმოთა სამმართველომ (ამხ. გ. კბილაშვილმა):

ა) სპორტის ტექნიკურ სახეობებში რესპუბლიკური შეჯიბრებების
 ჩატარებელი საორგანიზაციო კომიტეტის განაცხადის მიხედვით გამოუ-
 ყოს ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალურ სადგურს შეჯიბრებების ჩატარე-
 რისათვის საჭირო მასალები და ინვენტარი;

ბ) მეთოდური მასალებისა და ნახაზების დასაეჭვად გამოუყოს
 ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალურ სადგურს 500 კილოგრამი საბეჭდი
 ქაღალდი.

X. სპორტის ტექნიკური კომპლექსის-კარდორომის, აკვატორი-
 უმისა და ავტომატული დროების აშენების მიზნით განმეორეთ დასვენა-
 საკითხი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინაშე ქ. თბილისში,



ტელმანის სახელობის ბალის ტერიტორიის ნაწილის სადგურისათვის
გადმოცემის შესახებ.

XI. გაზეთების „სახალხო განათლების“, „ახალგაზრდა კომუნის-
ტის“, „მოლოდიოჟ გრუზიის“, „ნორჩი ლენინელის“. ჟურნალების
„სკოლა და ცხოვრების“, „ბიონერის“ და რადიოსა და ტელევიზიის
საბავშვო გადაცემათა რედაქციებმა სისტემატურად გააშუქონ სპორ-
ტის ტექნიკურ სახეობებში წრეობრივი მუშაობისა და შეჯიბრე-
ბათვის მზადების ს კითხვები.

XII. კონტროლი ამ დადგენილებების შესრულებაზე დაევალოთ
საქართველოს ალკც ცენტრალური კომიტეტის სასკოლო განყოფილე-
ბას (ამხ. რ. ღარიბაშვილი), საქართველოს სსრ განათლების სამინის-
ტროს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს (ამხ. თ.
ქლენტი) და საქართველოს სსრ „დოსააფის“ ცენტრალური კომიტეტის
ავიასპორტკლუბს (ამხ. გ. გურგენიძე).

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

საქართველოს ალკც ცენტრალური კომიტეტის მდივანი ქ. შარტავა

საქართველოს სსრ „დოსააფის“ ცენტრალური კომიტეტის
თავმჯდომარე ვ. ჯანჯღავა

ვაშტიცებ
საქართველოს სსრ განათლების მინისტრი

თ. ლაშქარაშვილი

3 აპრილი, 1975 წ.

რ ა ბ უ ლ ე ბ ა

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში ფაკულტატიური მეცადინეობის შესახებ

1. ფაკულტატიური მეცადინეობა, როგორც სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ახალი ფორმა, სკოლაში ტარდება „სახალხო განათლების შესახებ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის სფეროებში“ და „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მუშაოის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ სსრ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 10 ნოემბრის № 874 დადგენილების შესაბამისად.

2. ფაკულტატიური მეცადინეობა მიზნად ისახავს VII-X კლასების მსწავლეებში ზოგადსაგანმანათლებლო ცოდნის, შრომითი პოლიტიკური მომზადებისა და აგრეთვე მოსწავლეთა ნიჭისა და მრავალმხრივი ინტერესების განვითარებას.

3. ფაკულტატიური კურსის ტიპობრივ პროგრამებს ამუშავებს და გამოსცემს სსრ კავშირის განათლების სამინისტრო.

რესპუბლიკის სკოლისათვის ფაკულტატიური მეცადინეობის პროგრამებსა და დამხმარე სახელმძღვანელოებს ამტკიცებს საქართველოს სსრ განათლების მინისტრო.

4. სახალხო განათლების ორგანოებთან შეთანხმებით სკოლებს უფლება ეძლევათ, ადგილობრივი პირობებისა და მატერიალური ბაზის გათვალისწინებით, შეიტანონ ცვლილება შრომითი სწავლების ფაკულტატიური კურსის პროგრამებში.



5. ფაკულტატიური კურსი შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს არაუმცირეს 35 საათზე, კვირაში-1 საათი-წლის განმავლობაში ან კვირაში 2 საათი-ნახევარი წლის განმავლობაში).

6. ფაკულტატიური კურსის შემსწავლელ ჯგუფებში მოსწავლეები ჩაირიცხებიან მათი სურვილის მიხედვით.

7. მოსწავლეების მიერ ერთდროულად ორზე მეტი ფაკულტატიური კურსის შესწავლა მიზანშეწონილი არ არის.

8. ფაკულტატიური კურსის შემსწავლელი ჯგუფები, როგორც წესი, უნდა დაკომპლექტდეს ერთი ან პარალელური კლასების მოსწავლეებით. მეცადინეობა ფაკულტატივში, რომელიც დაკავშირებული არ არის სასწავლო გეგმაში შემავალ საგნებთან, შეიძლება ჩატარდეს სხვადასხვა კლასის მოსწავლეებთან.

სათანადო პირობების არსებობისას, განათლების განყოფილების რეკომენდაციით, ჯგუფები შეიძლება შეიქმნას ორი ან რამოდენიმე სკოლის მოსწავლეებისა ან (სასკოლათაშორისო ფაკულტატივი).

9. ფაკულტატიური მეცადინეობის ჯგუფების რაოდენობა, ყველა შემთხვევაში, განისაზღვრება ამ მიზნისათვის განკუთვნილი საათების რაოდენობით, რაც დადგენილია სკოლისათვის მოქმედი სასწავლო გეგმის საფუძველზე.

10. ფაკულტატიური მეცადინეობა ტარდება ცალკე ცხრილით გაკვეთილების დაწყებამდე ან შემდეგ, ადგილობრივი პირობების მიხედვით (სკოლის საცხოვრებელი ადგილიდან დაშორება, მოსწავლეთა ინტერნატში განლაგება და სხვ.) შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს შუალედი მოსწავლეთა დასვენებისათვის სავალდებულო მეცადინეობებსა და ფაკულტატივებს შორის.

10. ფაკულტატიური მეცადინეობის ჩატარებისას გამოყენებულ უნდა იქნეს სწავლების სხვადასხვა ფორმები, მეთოდები და მოსწავლეთა სასწავლო მუშაობის სახეები, რაც ხელს შეუწყობს მათ შემეცნებითსა და შემოქმედებითს აქტივობას, მათ შორის ლექციები, ხემინარები, პრაქტიკუმები, ლაბორატორიული სამუშაოები ექსკურსიები, რეფერატები, მოხსენებები და მოსწავლეთა დამოუკიდებელი მუშაობის სხვა ფორმები.

12. მოსწავლეები, რომლებიც შეისწავლიან ფაკულტატიურ კურსს, რვა კლასის დამთავრების მოწმობებში, საშუალო განათლების ატესტატში მითითებულ ექნებათ შესწავლილი კურსის (კურსების) დასახელება.

13. ფაკულტატიური კურსები მიყავთ მასწავლებლებს, მეცნიერებს, აგრეთვე უმაღლესი სასწავლებლების მასწავლებლებს, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებს, წარმოებისა და სოფლის მეურნეობის სათანადო მომზადების მქონე სპეციალისტებს.

14. ფაკულტატიური კურსების მასწავლებლების ხელფასის ანაზღაურება წარმოებს რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილებების მიერ დამტკიცებული ტარიფიკაციის შესაბამისად.

15. პედაგოგიური საბჭო, მოსწავლეთა სურვილისა და რეალურად არსებული პირობების შესაბამისად, ამტკიცებს ფაკულტატივებს მომავალი წლისათვის.

16. მოსწავლეთა რაოდენობას ჯგუფებში განსაზღვრავს სკოლის დირექტორი ფაკულტატიური კურსების სპეციფიკის მიხედვით, მაგრამ არაუმცირეს 10 კაცისა ჯგუფში.

17. იმ შემთხვევებში, როდესაც ამა თუ იმ ფაკულტატიური კურსის შესწავლის მსურველთა რიცხვი აღემატება დედგენილს, უპირატესობა ეძლევა იმ მოსწავლევს, რომლებმაც ამ ან მონათესავე საგნებში გამოიჩინეს მეტი სიბეჯითე და დაინტერესება.

18. ფაკულტატიური კურსის შესასწავლად ჯგუფების დაკომპლექტებისას დაუშვებელია შესარჩევი გამოცდებისა და შემოწმებების ჩატარება.

19. ფაკულტატიური კურსის შესასწავლად მოსწავლის ჯგუფში ჩარიცხვა, კლასის ხელმძღვანელის მოსაზრების გათვალისწინებით, ხდება იმ მასწავლებლის მიერ, რომელიც ატარებს ფაკულტატივს და მტკიცდება სკოლის დირექტორის ბრძანებით არაუგვიანეს 10 სექტემბრისა ან 10 იანვრისა.

20. ფაკულტატიური მეცადინეობის ორგანიზაციასა და შინაარსზე ხელმძღვანელობასა და კონტროლს ახორციელებს სკოლის დირექტორი და სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობის დარგში მისი მოადგილე.

შენიშვნა: 1. დებულება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში ფაკულტატიური მეცადინეობის შესახებ ძალაში შედის 1975 წლის I-ლი სექტემბრიდან.

2. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1968 წლის 17 თებერვლის ცირკულარული წერილი ამ საკითხზე ძალადაკარგულად ჩაითვალოს.



„УТВЕРЖДАЮ“

Министр просвещения Грузинской
ССР

_____ Т. Лашкарашвили

„3“ апреля 1975 года

ТИПОВОЕ ПОЛОЖЕНИЕ


о факультативных занятиях в общеобразовательной школе

1. Факультативные занятия как новая форма учебно-воспитательного процесса в школе организуются в соответствии с „Основами законодательства Союза ССР и союзных республик о народном образовании“ и постановлением ЦК КПСС и Совета Министров СССР от 10 ноября 1966 г. № 875 „О мерах дальнейшего улучшения работы средней общеобразовательной школы“.

2. Факультативные занятия имеют целью углубление общеобразовательных знаний и трудовой политехнической подготовки, а также развитие разносторонних интересов и способностей учащихся VII-X классов.

3. Министерство просвещения СССР разрабатывает и организует издание типовых программ факультативных курсов.

Министерство просвещения СССР утверждает программы и учебные пособия факультативных занятий для школ республики.



4. Школам предоставляется право по согласованию с органами народного образования вносить изменения в программы факультативных курсов по трудовому обучению с учетом местных условий материальной базы.

5. Факультативный курс может быть рассчитан не менее, чем на 35 часов (1 час в неделю в течение года или 2 часа в неделю в полугодие).

6. В группы по изучению факультативных курсов учащиеся зачисляются по их желанию.

7. Учащимся не рекомендуется изучать более двух факультативных курсов одновременно.

8. Группы для изучения факультативов, как правило, комплектуются из учащихся одного или параллельных классов. Занятия по факультативам, не связанным с предметами, входящими в учебный план, могут проводиться с учащимися различных классов.

При наличии соответствующих условий по рекомендации отдела народного образования могут создаваться группы из учащихся двух или нескольких школ (межшкольные факультативы).

9. Во всех случаях число групп для факультативных занятий определяется в пределах общего количества часов на эти занятия, устанавливаемых школе на основе действующего учебного плана.

10. Факультативные занятия должны предусматриваться специальным расписанием и проводиться до или после уроков. В зависимости от местных условий (расстояние от места жительства до школы, размещение учащихся в интернате и др.) может быть предусмотрен перерыв для отдыха школьников между обязательными занятиями и факультативами.

11. При проведении факультативных занятий должны найти применение различные формы и методы обучения и виды учебной работы учащихся, способствующие развитию у них

познавательной и творческой активности, в том числе лекции, семинары, практикумы, лабораторные занятия, экскурсии, рефераты, доклады и другие формы самостоятельной работы учащихся.

12. Учащимся, изучавшим факультативный курс, в свидетельстве о восьмилетнем образовании, аттестате о среднем образовании указывается название изученного курса (ов).

13. Факультативные курсы ведут учителя, а также преподаватели вузов, деятели науки, литературы и искусства, специалисты производства и сельского хозяйства, имеющие соответствующую подготовку.

14. Оплата преподавателей факультативных курсов проводится в соответствии с тарификацией, утвержденной районным (городским) отделом народного образования.

15. Педагогический совет, учитывая пожелания учащихся и наличие реальных возможностей, утверждает перечень факультативных курсов на предстоящий год.

16. Наполняемость групп определяется директором школы в зависимости от специфики факультативных курсов, но не менее 10 человек в группе.

17. В тех случаях, когда на тот или иной факультативный курс число желающих учащихся превышает возможности набора, преимущество отдается тем школьникам, которые в изучении данного и смежного с ним предметом проявили больше приложение и заинтересованность.

18. При комплектовании групп для изучения факультативных курсов не допускается проведение отборочных испытаний и проверок.

19. Зачисление учащихся в группы по изучению факультативного курса производится учителем, ведущим факультатив, с учетом мнения классного руководителя и утверждается приказом директора школы не позднее 10 сентября (или 10 января).



20. Руководство и контроль за организацией и содержанием факультативных занятий осуществляется директором школы и его заместителями по учебно-воспитательной работе.

- Примечание:
1. Положение о факультативных занятиях в общеобразовательной школе входит в силу с 1 сентября 1975 года.
 2. Циркулярное письмо Министерства просвещения Грузинской ССР по данному вопросу от 17 февраля 1968 г. считать не действительным

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1975 წლის 8 აპრილის ბრძანება № 286

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ი. გოგებაშვილის სახელობის სახალხო განათლების სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკის სამეცნიერო საბჭოს დამტკიცების შესახებ

დამტკიცდეს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ი. გოგებაშვილის სახელობის სახალხო განათლების სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკის სამეცნიერო საბჭო:

1. გოგოლაძე ვ. მ.—ი. გოგებაშვილის სახელობის ბიბლიოთეკის დირექტორი, სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე.
2. ბერძენიშვილი ნ. ს.—ი. გოგებაშვილის სახელობის ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილე-სამეცნიერო საბჭოს მდივანი.

საბჭოს წევრებად:

1. ბურჭულაძე მ. ი.—ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის მეცნიერებათა ინსტიტუტის საღამოს (ცვლის), დაუსწრებელი სკოლების სექტორის გამგე, რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი.
2. ზახაშვილი თ. ა.—მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის დირექტორი.
3. იოსელიანი ნ. ა.—ი. გოგებაშვილის სახელობის ბიბლიოთეკის საცნობარო-ბიბლიოგრაფიული განყოფილების გამგე.
4. კობახიძე ვ. ს.—თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.
5. მიქაძე გ. ვ.—პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ბიბლიოთეკათმცოდნეობის ფაკულტეტის კათედრის გამგე.

6. ნადარეიშვილი ლ. ტ.—ი. გოგებაშვილის სახელობის ბიბლიოთეკის უფროსი ბიბლიოთეკარი.

7. ობოლაძე უ. პ.—საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილე.

8. როგავა დ. ვ.—პროფტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე.

9. საყვარელიძე გ. ა.—ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის მეცნიერებათა კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი.

10. საჯაია გ. პ.—ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“ მთავარი რედაქტორი.

11. ურუშაძე ლ. ა.—ი. გოგებაშვილის სახელობის ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილე.

12. ქრისტინაშვილი თ. გ.—ა/კავკასიის რკინიგზის სკოლების სამმართველოს უფროსი.

13. შველიძე ნ. დ.—გაზეთ „სახალხო განათლების“ რედაქტორი.

14. ოჩივაძე მ.—განათლების სამინისტროს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს უფროსი ინსპექტორი.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1975 წლის 3 აპრილის დადგენილება

მ ი ნ • ს ტ რ ი თ. ვ. ლაშქარაშვილი



სსრ კ.ბ.წ.წ.ლ.ო. სსრ განათლების სამინისტროს 1975 წლის
14 აპრილის ბრძანება № 302

საქართველოს სსრ რესპუბლიკაში ხალხთა (ცვლიანი) და დაუსწრებელი ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების ქსელისა და კონტინენტის მცხრე ხუთწლედის ოთხი წლის სახალხო მეურნეობის გეგმის შებ უღების შესახებ

აღნიშნავ, რომ რესპუბლიკის საღამოს (ცვლიანი) და დაუსწრებელმა სკოლებმა უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად გააცხოველეს მუშაობა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX.V ყრილობის მიერ მოზრდილთა განათლების წინაშე დასახული ამოცანების განსახორციელებლად.

მიმდინარე მცხრე ხუთწლედის ოთხ წელაწადში საგრძობლად გაუმჯობესდა საღამოს (ცვლიანი) და დაუსწრებელი ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების ძირითადი მაჩვენებლები: გაფართოვდა საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების ქსელი-თუ 1971-72 სასწავლო წელს რესპუბლიკაში იყო 353 საღამოსა და დაუსწრებელი სკოლა და დღის სკოლათან არსებული საღამოს კლასები, 1974-75 სასწავლო წელს მათი რიცხვი 439-მდე გაიზარდა, მოსწავლეთა რაოდენობა კი ამ პერიოდში 44729-დან 51016-მდე გადიდა. რიგ საღამოსა და დაუსწრებელ სკოლას მჭიდრო კონტაქტი აქვთ დამყარებული წარმოება-დაწესებულებებთან, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებთან, რის შედეგადაც ბევრი საწარმო და მეურნეობა აქტიურად მონაწილეობს ამ სკოლების ქსელის გაფართოებასა და კონტინენტის სახალხო მეურნეობის გეგმის შესრულებაში.

ამავე დროს საღამოს (ცვლიანი) და დაუსწრებელი ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების მოსწავლეთა კონტინენტის მცხრე ხუთწლედის ოთხი წლის სახალხო მეურნეობის გეგმა მთლიანად ვერ



შესრულდა: მეცხრე ხუთწლედის ოთხი წლის გეგმა ითვალისწინებდა სწავლებაში 195708 მოსწავლის ჩაბმას, ფაქტიურად კი ჩაბმულ იქნა სულ 192447 მოსწავლე, ე. ი. გეგმა შესრულდა 98,2 პროცენტით.

სალამოს სკოლების მოსწავლეთა კონტინენტის გეგმები და ხუთწლედის ოთხი წლის დავალებები გადაჭარბებით შესრულდა აჭარის ასს რესპუბლიკაში (116,6 %), ქ. გორში (100,5%), რუსთავეში (100,8%); ზუგდიდის (100,2%), ბოლნისის (136,0%), ბორჯომის (136,0%), თელავის (187,8%), მცხეთის (103,5%) და სხვა რაიონებში. მაგრამ ამ მხრივ დიდი ჩამორჩენაა აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში (96,0%); სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში (84,8%), ქ. ქ. თბილისში (85,3%), ფოთში (82,5), გორის (74,5%), მახარაძის (91,7%), კასპის (84,3%), ხობის (90,9%), მესტიისა (88,9%) და სხვა რაიონებში.

კიდევ უფრო ცუდი მდგომარეობაა მე-8 და მე-11 კლასების მოსწავლეთა მიერ ამ კლასების დამთავრების საკონტროლო ციფრების შესრულებაში. მეცხრე ხუთწლედის ოთხ წელიწადში მე-8 კლასების 28450 მოსწავლიდან დაამთავრა მხოლოდ 21720-მა მოსწავლემ, ე. ი. 76,5 პროცენტმა ხოლო მე-11 კლასების 40240 მოსწავლიდან საშუალო განათლება მიიღო 34271 ახალგაზრდამ ანუ 85,2 პროცენტმა. ცხადია, ეს ციფრები ძალზე დაბალია და ისინი მიუთითებენ მომუშავე ახალგაზრდების სწავლების საქმეში არსებულ დიდ ნაკლოვანებებზე. განსაკუთრებით არადაამაკმაყოფილებელია ეს მაჩვენებლები აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, ქ. ფოთში, რუსთავეში, გორის, მახარაძისა და სხვა რაიონებში.

უკანასკნელ დროს რესპუბლიკის განათლების სამინისტროსა და განათლების ადგილობრივი ორგანოების მიერ გატარებული ღონისძიებების შედეგად გაუმჯობესდა სალამოსა და დაუსწრებელი სკოლების საქმიანობა, ვასულ 1973-1974 სასწავლო წელს, წინა წელთან შედარებით, ამდლდა ამ სკოლების მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება. მეორეწლიან მოსწავლეთა რიცხვი 15,3 პროცენტიდან შემცირდა 11,1 პროცენტამდე; ასევე შემცირდა განთესილ მოსწავლეთა რიცხვიც, მიმდინარე სასწავლო წლისათვის გადაჭარბებით შესრულდა მოსწავლეთა კონტინენტის გეგმა. წინა წელთან შედარებით მოსწავლეების რაოდენობა 47869-დან 51016-მდე გაიზარდა. მაგრამ ჯერ კიდევ დიდი ღონისძიებებია გასატარებელი სალამოსა და დაუსწრებ-

ლი სკოლების მოსწავლეთა კონტინგენტს ხუ წლიანი გეგმის შესაბამისად. 1974 წელს ჩატარებული აღრიცხვით რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში დასაქმებულია 55 ათ.სამდე 16-29 წლის ასაკის ახალგაზრდა, რომელთაც არ აქვთ 8-წლიანი და საშუალო განათლება და არ სწავლობენ. მათი დიდი ნაწილი მოდის აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკებზე, ქ.ქ. თბილისზე, ქუთაისზე, რუსთავეზე, აგრეთვე გორის, ქიასურის, ახალქალაქის, ახ.ციციას, ახმეტის, ბიგდანიოვის, თერჯოლის, თეთრიწყაროს, საჩხერის, სავარჯიშის, ხაშურის, წალენჯიხის, წალკის, წითელწყაროსა და სხვა რაიონებზე.

მიმდინარე 1974-1975 სასწავლო წელს რესპუბლიკის საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების მე-8 კლასებში სწავლობს 6 ათასზე მეტი მოსწავლე, ხოლო მე-11 კლასეში კი 12044 მოსწავლე. მუშაობა ისე უნდა წაოიმაართოს, რომ მათმა აბსოლუტურმა უმრავლესობამ დაამთავროს აღნიშნული კლასეი.

ჯერ კიდევ დიდია საღამოს სკოლებიდან მოსწავლეთა განთესვის შემთხვევეები. მეცაიე ხუთწლედის ოთხ წელიწადში აღნიშნული სკოლებიდან გავიდა 42611 მოსწავლე, მათი 10 პროცენტზე მეტი არასაპატიო მიზეზითაა განათესილი; ხშირია მოსწავლეთა მიერ გაკვეთილების გაცდენის შემთხვევეი, ბევრ სკოლაში დაბალია მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების დონე; მეორეწლიან მოსწავლეთა რაოდენობა საღამოს სკოლებში საშუალოდ ყოველწლიურად 13 პროცენტს აღემატება; ბევრგან არადამაკმაყოფილებელია საღამოს სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზა; მისი განმტკიცებისათვის კი სათანადო ღონისძიებები არ ტარდება.

ეს ნაკლოვანებანი საღამოს (ცვლიან) და დაუსწრებელ ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების მუშაობაში უპირატესად იმითაა გამოწვეული, რომ ზოგან განათლების განყოფილებებსა და საღამოს სკოლებს არა აქვთ დამყარებული საქმიანი კონტაქტი წარმოება-დაწესებულებებთან, კოლმეურნეობებთან და საბჭოთა მეურნეობებთან, საკმარის მუშაობა არ ტარდება მომუშავე ახალგაზრდობის სწავლებაში ჩასაბმელად და სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მაღალ დონეზე დასაყენებლად.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ



ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეობმა:

ა) გადამჭრელი ზომები მიიღონ სალამოსა და დაუსწრებელ სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მკვეთრად გასაუმჯობესებლად, დარაზმონ განათლების მუშაკები; სკოლების ხელმძღვანელები, მასწავლებლები საშუალო განათლების არმქონე მომუშავე ახალგაზრდების სწავლებაში არსებული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად;

ბ) ადგილობრივ პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად უფრო ფართოდ გაშალონ დათვალიერება დევიზით — „ყოველ ახალგაზრდა მშრი მელს-საშუალო განათლება“; უზრუნველყონ ამ საქმეში საწარმოებისა და ორგანიზაციების აქტიური მონაწილეობა;

გ) დაუყოვნებლივ გააანალიზონ თითოეულ ქალაქში, რაიონში სალამოს სკოლების მოსწავლეთა კონტინენტის გეგმების შესრულების მდგომარეობა და უზრუნველყონ ხუთწლიანი გეგმის აუცილებელი შესრულება; მხედველობაში იქონიონ, რომ ამისათვის აუცილებელია 16-29 წლის ასაკის ყველა მომუშავე ახალგაზრდის დროულად აღრიცხვა და სისტემატური მუშაობის ჩატარება მათ სწავლებაში ჩასაბმელად;

დ) ყველა ღონისძიება გაატარონ სალამოს სკოლების მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების ამაღლებისათვის; მიაღწიონ მეორეწლიანობისა და სკოლებიდან მოსწავლეთა განთესვის მკვეთრად შემცირებას განსაკუთრებით იზრუნონ იმისათვის, რომ მე-8 და მე-11 კლასების მოსწავლეთა აბსოლუტური უმრავლესობა ამთავრებდეს ამ კლასებს;

ე) განამტკიცონ კონტაქტები საწარმოებთან, ორგანიზაციებთან, მოსწავლეთა მშობლებთან; მიაღწიონ იმას, რომ მოსწავლეები შეუფერხებლივ სარგებლობდნენ კანონმდებლობით გათვალისწინებული შეღავათებით, რომ მათ სწავლებაზე კონტროლი იყოს დაწესებული როგორც სამუშაო ადგილებიდან, ისე მშობლების მხრივ; ერთობლივი ღონისძიების გატარებით მინიმუმდე დაიყვანონ მოსწავლეთა მიერ გაკვეთილების გაცდენის შემთხვევები;

ვ) განათლების განყოფილებათა გამგეობმა სალამოს და დაუსწრებელ სკოლებზე თავიანთი ბრძანებით აუცილებლად გააპროგრამონ ერთ-ერთი სასკოლო ინსპექტორი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება

ამ სკოლების მუშაობაზე-ინსპექტორები საფუძვლიანად დაეუფლონ სალამოს სკოლების მუშაობის სპეციფიკას და გააძლიერონ კონტროლი და დახმარება ამ სკოლებისადმი;

გ) სისტემატურად იზრუნონ სალამოსა და დაუსწრებელი სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცებისათვის; მიაღწიონ ამ საქმეში საწარმოებისა და ორგანიზაციების საქმიანობის გააქტიურებას;

თ) მტკიცე მითითება მისცენ მასობრივ სკოლების დირექტორებს, რათა სალამოსა და დაუსწრებელი სკოლები დაუბრკოლებლად სარგებლობდნენ დღის სკოლების კაბინეტებითა და ლაბორატორიებით, რაც დღემდე ბევრ სკოლაში არაა მოგვარებული;

ი) ამთავითვე დაიწყონ მზადება და ახალი სასწავლო წლიდან გონივრულად განსაზღვრონ თვითივე ქალაქსა და რაიონში სალამოსა და დაუსწრებელი სკოლების ქსელი; იხე მიაწყონ საქმე, რომ თვითივე მომუშავე ახალგაზრდას შესაძლებლობა ჰქონდეს ისწავლოს ამ სკოლებში სამუშაო და საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

2. სალამოსა და დაუსწრებელი სკოლების დირექტორებმა და სასწავლო-აღმზრდელობით დარგში მათმა მოადგილეებმა მტკიცედ დაიცვან დებულება „სალამოს (ცვლიან) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის შესახებ“. თავიანთ ყოველდღიურ მუშაობას საფუძვლად დაუდონ საქართველოს სსრ განათლების მინისტრის 1974 წლის 24 აპრილის № 334 და 14 ოქტომბრის № 857 ბრძანებები. უზრუნველყონ მოსწავლეთა კონტინენტის გეგმების შესრულება, კონტინენტის შენარჩუნება. დაიცვან სალამოს სკოლებში მოსწავლეთა მიღების წესები. გადაჭრით გააძლიერონ მომთხოვნელობა და დახმარება მასწავლებლებისადმი, მკვეთრად გააუმჯობესონ სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა.

3. აღნიშნული ბრძანება განიხილონ საქალაქო, რაიონული განათლების განყოფილებათა, აგრეთვე სალამოსა და დაუსწრებელი სკოლების პედაგოგიური საბჭოების სხდომებზე; გააანალიზონ მიმდინარე ხუთწლედის ოთხი წლის შედეგები, დასახონ და განახორციელონ პრაქტიკული ღონისძიებანი არსებული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად.

4. საქართველოს სსრ გ.ნათელის სამინისტროს სალექსიკონო და
დაუსწრებელი სკოლების სამმართველომ კონტროლი დააწესა
ბრძანების შესრულებაზე.

საფუძველი: საქართველოს სსრ გ.ნათელის სამინისტროს 1975
წლის 3 აპრილის დადგენილება.

მ ი ნ ი ს ტ რ ი

თ. ვ. ლაშქარაშვილი



**საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1975 წლის
16 აპრილის ბრძანება № 316**

უმადლესი პედაგოგიური სასწავლებლების 1974 წელს კურსდამთავრებულ ახალგაზრდა სპეციალისტთა 10 თვიანი სტაჟირების მიმდინარეობის შესახებ

აფხაზეთისა და აჭარის ასსრ, სამხეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებიდან მიმდინარე წელს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროში წარმოდგენილი ანგარიშებისა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ გარდაბნის, ახმეტის, მარნეულის, თბილისის ლენინის რაიონის, გულრიფშისა და სოხუმის რაიონებში ათთვიანი სტაჟირების მიმდინარეობის ადგილზე შემოწმების შედეგად გამოირკვა, რომ უმაღლესი პედაგოგიური სასწავლებლების კურსდამთავრებულ ახალგაზრდა სპეციალისტთა ათთვიან სტაჟირებას პასუხისმგებლობით მოეკიდნენ შუახევის, ქედის, გულრიფშის, გარდაბნის, ახმეტისა და მარნეულის რაიონების განათლების განყოფილებები.

აღნიშნული რაიონების მეოთხედი კაბინეტების მიერ ჩატარებულია მოსამზადებელი მუშაობა ახალგაზრდა სპეციალისტებისათვის პედაგოგიურ კაბინეტებში ჩატარებულია ლექცია-სუბრები ახალგაზრდა კურსდამთავრებულთა სტაჟირების პროგრამისა და ამოცანების შესახებ. ახალგაზრდა სპეციალისტები მომავრებულნი არიან ხალმძღვანელებთან. ისინი კარგად იცნობენ სტაჟირების პროგრამას, შედგენილი აქვთ ინდივიდუალური სამუშაო ვეგმები, რომლებშიც გათვალისწინებულია სასწავლო, მეოთხედი და კლასგარეშე მუშაობის ცალკეული საკითხები.

ახალგაზრდა სპეციალისტთა დიდი ნაწილი გამოყენებულია კლასის ხელმძღვანელად ან მის თანაშემწედ, რაც სტაჟირების პროგრამის მიხედვით სავალდებულოა.

აღნიშნული რაიონების ახალგაზრდა სპეციალისტები უზრუნველყოფილი არიან ნორმალური პედაგოგიური და ტვირთითა და სხვა სხვაობებით პირობებით.

მიუხედავად ამისა, ახალგაზრდა სპეციალისტების სტაჟირების საქმეში რიგ რაიონებში ადგილი აქვს მთელ რიგ ნაკლოვანებებს. მაგალითად: ქუთაისის, ტყიბულის, ბოგდანოვის, ვევეჭკორის, კასპის, ყვარლის, ლენტეხის, მცხეთის, ხაშურის განათლების განყოფილებებს დღემდე არ გამოუტყვევიათ წერილობითი ანგარიშები ჩატარებული მუშაობის შესახებ,

არადაამაკმაყოფილედ მიმდინარეობს ათთვიანი სტაჟირების პრაქტიკა ხულოს, ქობულეთის, ხელვაჩაურის, თბილისის ლენინის რაიონებში. აღნიშნული რაიონების ახალგაზრდა სპეციალისტებს არა აქვთ შედგენილი ინდივიდუალური სამუშაო გეგმები. ინი დღემდე არ არიან მიმაგრებული ხელმძღვანელებთან, არ ჩატარებიათ ღია გაკვეთილი და არ არიან გამოყენებული კლასის ხელმძღვანელად ამ მის თანაშემწედ.

ზემოთ ჩამოთვლილი ნაკლოვანებები იმით აიხსნება, რომ აღნიშნული განათლების განყოფილებები, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტი და მისი ფილიალები ჯეროვანი ყურადღებით არ მოეციდნენ უმაღლესი პედაგოგიური სასწავლებლების კურსდამთავრებულ ახალგაზრდა სპეციალისტთა სტაჟირების საქმეს.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დაევალოს განათლების განყოფილებათა გამგეებს უმაღლესი პედაგოგიური სასწავლებლის კურსდამთავრებულ ახალგაზრდა სპეციალისტთა ათთვიანი სტაჟირების საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორების მიზნით გაატარონ შემდეგი ღონისძიებანი:

ა) სასკოლო ინსპექტორებისა და მეთოდკაბინეტის მეთოდისტების მონაწილეობით სკოლის დირექტორებთან ერთად გულდასმით შეისწავლონ უმაღლესი პედაგოგიური სასწავლებლების კურსდამთავრებულთა სტაჟირების მიმდინარეობა და შემოწმების შედეგები განიხილონ საბჭოს სხდომაზე;

ბ) შეუქმნან ახალგაზრდა სპეციალისტებს ნორმალური მუშაობისათვის ყველა საჭირო პირობა ისე, რომ სტაჟირების პროცესში ახალგაზრდა მასწავლებელმა შეძლოს გამოამყვანოს უმაღლესში

მიღებული მეცნიერული ცოდნის დონე; ფსიქოლოგიის, პედაგოგიის, სავაჭრო-საგარეო ურთიერთობების, საგნის მეთოდის, სალმზრდლო მუშაობისა და მისი პრაქტიკული გამოყენების უნარ-ჩვევები;

გ) ისეთ სკოლებში, სადაც არ გამოინახება სტაჟირებისათვის შესაფერი ხელმძღვანელი, ხელმძღვანელობა უნდა გაუწიოს სკოლის დირექტორმა, დირექტორის მოადგილემ ან განათლების განყოფილების ინსპექტორმა ან პედაგოგების მეთოდისტმა;

დ) სტაჟირების საქმეში იხელმძღვანელონ ახალგაზრდა სპეციალისტთა სტაჟირების პრაქტიკის დებულებით.

2. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა და მისმა ბათუმის, სოხუმის, ქუთაისის, ცხინვალის ფილიალებმა, თბილისის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა საჭირო დახმარება გაუწიონ რესპუბლიკის სკოლებს ახალგაზრდა სპეციალისტების სტაჟირების სწორად წარმართვაში.

3. აღინიშნოს ხულოს, ქობულეთის, ხელვაჩაურის, თბილისის ლენინის რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეების აშხ. აშხ. ნ. ო. აბულაძის, მ. ნ. მიქელაძის, რ. ს. ჯინჭარაძის, თ. გ. ტატიშვილის არადამაკმაყოფილებელი ხელმძღვანელობა ახალგაზრდა სპეციალისტების სტაჟირების საქმისადმი.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1975 წლის 3 აპრილის დადგენილება.

მ ი ნ ი ს ტ რ ი

თ. ვ. ლაშქარაშვიდი



**საქართველოს სსრ განათლების საზინისტროს 1975
წლის 16 აპრილის ბრძანება № 311**

**ლაგოდენისა და წულუკიძის რაიონების სკოლაშდელ
დაწესებულებათა მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ**

შემოწმებით დადასტურდა, რომ ლაგოდენისა და წულუკიძის რაიონებში გარკვეული მუშაობაა ჩატარებული სასწავლო-აღმზრდელობით დარგში სკოლაშდელი დაწესებულებებისადმი ხელმძღვანელობის, დახმარებისა და კონტროლის გაუმჯობესების მხრივ.

წულუკიძის № 1-ბავა-ბაღსა და № 1 საბავშვო ბაღში, ლაგოდენის № 1, ვარდისუბნის საბავშვო ბაღებსა და № 2 ბავა-ბაღში (გამგეები ლ. დანვაძე, ლ. ტაბიძე, ქ. ჩიკვაძე, ვ. შუბითიძე, ნ. მენთეშაშვილი) სათანადო ყურადღება ექცევა ბავშვთა სწავლა-აღზრდის საქმეში მოწინავე მეთოდების დანერგვას.

ამ რაიონების სკოლაშდელ მუშაკთა ერთი ნაწილი პასუხისმგებლობით ეკიდება დაკისრებული მოვალეობის შესრულებას, რისთვისაც სასტემატურად იმაღლებს კვალიფიკაციას როგორც საერთო ღონისძიებებების (კურსები, სემინარები და სხვ.), ასევე თვითგანათლების გზით.

აღნიშნულ რაიონებში გარკვეული ადგილი აქვს დათმობილი მოწინავე სკოლაშდელ მუშაკთა გამოცდილების შესწავლა-განზოგადებას. გარკვეული ღონისძიებები ტარდება პედაგოგიური კადრების შემადგენლობის გაუმჯობესების, სკოლაშდელ დაწესებულებათა ქსელის ზრდისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის.

ზემოაღნიშნულთან ერთად, ლაგოდენისა და წულუკიძის რაიონების სკოლაშდელ დაწესებულებათა მუშაობაში შეინიშნება სერიოზული ნაკლოვანებები: ლაგოდენის № 4, ამავე რაიონის საკონსერვო

ქარხნის საბავშვო ბაღებსა და ეთერზეთოვანი კულტურების საბჭო-
თა მეურნეობის ბავა-ბაღში (გამგეები ს. ჩახნაშვილი, მ. ხარაიშვილი,
ლ. მამიაშვილი) სათანადო ყურადღებას არ აქცევენ ბავშვთა გონებ-
რივ განვითარებას, საბავშვო ბაღის გარემოს თანამედროვე მოთხო-
ვნილების შესაბამისად მოწყობას, ბავშვთა ცხოვრებისა და სწავლა-
აღზრდისათვის საჭირო პირობების შექმნას; არ ჩანს ზრუნვა ნაკლო-
ვანებათა აღმოფხვრისა და მუშაობის ახლებურად გარდაქმნისათვის.

წულუკიძის რაიონის ზოგიერთ საბავშვო ბაღში ჯეროვანი
ყურადღება არ ექცევა სწავლა-აღზრდის საქმის სწორად ორგანიზე-
ბას. მაგალითად, გუბის ჩაის ფაბრიკის საბავშვო ბაღის აკურატულად
მოწყობილ გარემოს არ შეეფერება ბავშვების გარეგნობა-ჩაცმულობა,
ვარცხნილობა. დაბალია აკადემიური მომზადების დონე; ბავშვები
ვეთ ფლობენ პროგრამით გათვალისწინებული მასალის მინიმუმსაც კი.

შემოწმებული რაიონების ზოგიერთ სკოლამდელ დაწესებულებ-
აში სათანადო მუშაობა არ ტარდება ბავშვთა სკოლასათვის მომზა-
დების უზრუნველსაყოფად, დადებითი ჩვევების აღზრდისა და მათი
გონებრივი განვითარებისათვის. მაგალითად, წულუკიძის რაიონის
გუბის ჩაის ფაბრიკის საბავშვო ბაღში (აღმზრდელი დ. ცუცქერიძე)
9 ბავშვიდან მხოლოდ სამმა შეძლო ლექსის თქმა. დაბალი მომზადე-
ბისა და ზედმეტი მორცხვობის გამო წულუკიძის № 1 საბავშვო
ბაღის 5-6 წლიანთა ჯგუფის 10 აღსაზრდელიდან მხოლოდ ორმა
გასცა პასუხი კითხვაზე-რამდენი წლისაა, ერთმა-რომელ ქალაქში
ცხოვრობს, ორმა-მშობლების საქმიანობის შესახებ. დაბალ პედაგოგ-
იურ დონეზე ტარდება მეცადინეობა ლაგოდების რაიონის საკონსე-
რვო ქარხნის საბავშვო ბაღში (აღმზრდელი ლ. ხარაიძე), მთლიანად
ჩამლილია მეთოდური მუშაობა ეთერზეთოვანი კულტურების საბჭოთა
მეურნეობის ბავა-ბაღში (აღმზრდელი მ. მეზკოვა).

წულუკიძის № 1 და ნახახულევის საბავშვო ბაღებში სათანადო
ყურადღება არ ექცევა ბუნების კუთხეების მოწყობას და მათი დანი-
შნულებით გამოყენებას. ზოგიერთ საბავშვო ბაღში საიტერესოდ
არ არის მოწყობილი წიგნების კუთხეები, ერთფეროვნება კი ხელს უშ-
ლის წიგნების კუთხეში ბავშვთა მიზიდვას.

ლაგოდების რაიონში სათანადო ყურადღება არ ექცევა პედა-
გოგიური კადრების გადამზადებას. მაგალითად, 1971-75 წლებში



მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის გადასამზადებელ კურსებზე კვალიფიკაცია აიმაღლა მხოლოდ ხუთმა მუშაკმა.

ლაგოდებისა და წულუკიძის რაიონების ზოგიერთი სკოლამდელი დაწესებულება სათანადო ყურადღებას არ აქცევს არსებული შესაძლებლობის მაქსიმალურად გამოყენებას. მაგალითად, გუბის ჩაის ფაბრიკის საბავშვო ბაღში არ აძინებენ ბავშვებს, თუმცა საძინებელი კარგად აქვთ მოწყობილი. ლაგოდების ზოგიერთ საბავშვო ბაღში სათამაშოები მალე დაკიდებულ თაროებზეა მოთავსებული, რის გამოც მას ბავშვები თავისუფლად ვერ იყენებენ.

წულუკიძის რაიონის ნანახულევის, კუხისა და ზოგიერთ სხვა საბავშვო ბაღში სუსტად არის დაყენებული მშობლებთან მუშაობა. მშობლები სათანადოდ არ იცნობენ საბავშვო ბაღის მოთხოვნებს და სპეციფიკას, ბავშვები დავიანებით მიყავთ საბავშვო ბაღში, რითაც ირღვევა ბავშვთა მიღება-გასტუმრების დადგენილი წესი და საბავშვო ბაღის დღის რეჟიმი.

შემოწმებული რაიონების ზოგიერთ სკოლამდელ დაწესებულებაში დარღვეულია საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1972 წლის 29/IV № 265 ბრძანებით დადგენილი საშტატო განრიგი. მაგალითად, წულუკიძის № 1 ბავშვ-ბაღში ბავის უმცროს ჯგუფში აკლიათ დამლაგებლის საშტატო ერთეული, ამავე რაიონის გუბის ჩაის ფაბრიკის საბავშვო ბაღში—მუსიკის მასწავლებელი, ხოლო ლაგოდების რაიონის ეთერმეთოვანი კულტურების საბჭოთა მეურნეობის ბავშვ-ბაღის უმცროს ჯგუფში-ექთანი და ძიძა-სანიტრი. ამ ჯგუფის ძუძუმწოვარა ბავშვები თითქმის მთელი დღე (დღის 12 საათიდან) მარტო დამლაგებლის მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებიან, რაც დანაშაულად უნდა ჩაითვალოს.

სუსტია ლაგოდებისა და წულუკიძის რაიონების განათლების განყოფილებების დახმარება სხვა უწყების სკოლამდელი დაწესებულებებისადმი, რის გამოც აღნიშნულ დაწესებულებებს სერიოზული ხარვეზები გააჩნიათ მეთოდურ მუშაობაში.

ლაგოდებისა და წულუკიძის რაიონებში უფრო ნელი ტემპით იზრდება სკოლამდელ დაწესებულებათა ქსელი, ვიდრე ხუთწლიანი გეგმით არის გათვალისწინებული. მაგალითად, 1974 წლისათვის ლაგოდების რაიონში დაგეგმილი იყო 17 სკოლამდელი დაწესებულება-

ბა 1155 ადგილზე, ფაქტიურად მუშაობს 15-949 ადგილზე; წულუკიდის რაიონში გავალისწინებული იყო 1000-ზე მეტი ბავშვის ჩაბმვა ფაქტიურად სკოლამდელ დაწესებულებებში გაერთიანებულია 819 ბავშვი.

ლაგოდებისა და წულუკიდის რაიონების განათლების განყოფილებები გადაშტრელ ზომებს არ იღებენ სკოლამდელ დაწესებულებათა მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. სახალხო განათლების საბჭოს სხდომებზე სკოლამდელ დაწესებულებათა მუშაობის საკითხი ლაგოდების რაიონის განათლების განყოფილების მიერ 1971-1974 წლებში განხილულია მხოლოდ 3-ჯერ, ამავე პერიოდში წულუკიდის რაიონში-6-ჯერ:

ლაგოდებისა და წულუკიდის რაიონების სკოლამდელ დაწესებულებათა მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით.

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ლაგოდებისა და წულუკიდის რაიონების განათლების განყოფილებებმა (გამგეები შ. ჭინჭარაძე, ს. ჭოლოკავა):

ა) მკაცრი ზომები მიიღონ ბრძანებაში აღნიშნულ ნაკლოვანებათა გამომწვევი მიზეზების დროულად აღმოფხვრისათვის;

ბ) ეს ბრძანება გინიხილონ სახალხო განათლების საბჭოს სხდომებზე და იმსჯელონ იმ მუშაკების მიმართ, რომელთა სუსტი მუშაობის შესახებ აღნიშნულია ბრძანებაში.

2. წულუკიდის რაიონის განათლების განყოფილების სკოლამდელი აღზრდის მეთოდკაბინეტმა (ც. კობალიანი) და ლაგოდების რაიონის სკოლამდელი აღზრდის მეთოდისტმა (თ. რეხვიაშვილი):

ა) გადაჭრით გააუმჯობესონ დახმარება და კონტროლი სკოლამდელი დაწესებულებებისადმი; სისტემატური კონტროლი დააწესონ პედაგოგიური პერსონალის მუშაობაზე;

ბ) გააძლიერონ მეთოდური დახმარება სხვა უწყების სკოლამდელი დაწესებულებებისადმი.

3. წულუკიდის რაიონის განათლების განყოფილებამ, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1972 წლის 29.IV № 265 ბრძანების შესაბამისად, წულუკიდის ბავა-ბაღის ბავის 2 წლამდე ასაკის ჯგუფს მისცეს ძიძა-დამლაგებლის საშტატო ერთეული.

4. სკოლამდელი აღზრდის რესპუბლიკურმა მეთოდურმა კაბინეტმა (გ. მგალობლიშვილი) 1975 წელს გაითვალისწინოს სემინარის (ამხ. ჩატარება ლაგოდების რაიონის სკოლამდელი აღზრდის მუშაკებისათვის.

5. ეცნობოს საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს ამ ბრძანებაში აღნიშნული მათი სისტემის სკოლამდელი დაწესებულებათა სუსტი მუშაობის შესახებ.

საუბრძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1975 წლის 10 აპრილის დადგენილება.

მ ი ნ ი ს ტ რ ი

თ. ვ. ლაშქარაშვილი

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრძანება № 321

ქ. ქ. ბათუმისა და ქობულეთის საშუალო სკოლებთან არსებული
ლოგოპედიური პუნქტების არასწორად გახსნისა და პედაგოგიური
კადრების შერჩევის შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია აღნიშნავს, რომ ქ. ქ. ბათუმისა და ქობულეთის საშუალო სკოლებთან გახსნილია ლოგოპედიური პუნქტები საჭირო პირობების გაუთვალისწინებლად და დაკომპლექტებულია არაკვალიფიციური კადრებით აღნიშნული მდგომარეობა გამოწვეულია იმით, რომ აჭარის ასსრ განათლების სამინისტრო (ამხ. ვ. წულუკიძე) არ ასრულებს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1971 წლის 6^{IX} № 1302 ცირკულარული წერილით გათვალისწინებულ მოთხოვნებს მასწავლებლების ლოგოპედებად დანიშვნის შესახებ.

ქ. ბათუმის 28-ე საშუალო სკოლიდან 10-თან გახსნილია ლოგოპედიური პუნქტი, მათგან 5 პუნქტისათვის არ არის გამოყოფილი საჭირო სათავსო და ისინი ექიმის კაბინეტებში არიან შეკვლებულნი.

ქ. ბათუმში მე-4, 24 და 26-ე საშუალო სკოლაში ლოგოპედებად მუშაობენ ფილოლოგები, რომელთაც არა აქვთ გავლილი ლოგოპედიური კურსები, 1-ლი საშუალო სკოლის ლოგოპედს ლ. ცქიტიშვილს გავლილი აქვს ლოგოპედიური კურსები, მაგრამ მას არა აქვს უმაღლესი განათლება, მე-6 საშუალო სკოლაში ლოგოპედად დაწყებითი განათლების სპეცილისტი მუშაობს, ხოლო 22-ე სკოლაში გეოგრაფი, რომელთაც არა აქვთ გავლილი ლოგოპედიური კურსები.

ქ. ბათუმის მე-6 საშუალო სკოლის ლოგოპედს ამხ ც. აბაჯელიძეს შეაავსებელი აქვს დაწყებით კლასებში შრომითი სწავლების

საათები, ხოლო ქობულეთის მე-8 და მე-6 საშუალო სკოლების ლოგოპედიები უ. ცივაძე და თ. კონცელიძე შეთავსებით ასწავლიან ქართულ ენასა და ლიტერატურას.

მიუხედავად იმისა, რომ ქ. ბათუმის მე-2 და მე-8 რუსული საშუალო სკოლები ტერიტორიულად ერთმანეთის გვერდით მდებარეობენ და მათ შეიძლება ერთი ლოგოპედი მოემსახუროს, ორივე სკოლაშია გახსნილი ლოგოპედიური პუნქტი. ამასთან, აღსანიშნავია, რომ მე-8 საშუალო სკოლის ლოგოპედს მუშაობის მინიმალური პირობებიც არა აქვს შექმნილი, ის სტომატოლოგისა და ექიმის კაბინეტშია შეკედლებული.

ქ. ქობულეთში ექვსი საშუალო სკოლიდან 5-თან გახსნილია ლოგოპედიური პუნქტები, რაც ყოველად გაუმართლებელია. ამ თანამდებობაზე დანიშნულ მასწავლებელთაგან ყველა ფილოლოგია, ლომელთაგან მხოლოდ ერთს აქვს გავლილი ლოგოპედიური კურსები და ერთი სპეციალობით დეფექტოლოგია.

ქ. ქ. ბათუმისა და ქობულეთის ლოგოპედიური პუნქტების გახსნისა პედაგოგიური კადრებით დაკომპლექტების საქმეში დაშვებული სერიოზული დარღვევების აღმოფხვრის მიზნით,

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. აღინიშნოს, რომ აჭარის ასსრ განათლების სამინისტრომ (ამხ. ვ. წულუკიძემ) გაუმართლებლად დიდი რაოდენობით გახსნა ავტონომიური რესპუბლიკის საშუალო სკოლებთან ლოგოპედიური პუნქტები.

2. დაევალოს აჭარის ასსრ განათლების სამინისტროს (ამხ. ვ. წულუკიძეს):

ა) 1974-1975 სასწავლო წლის ბოლოსათვის წარმოადგინოს იმ სკოლების სია, რომლებთანაც მიზანშეწონილად მიაჩნია ლოგოპედიური პუნქტების დატოვება და ლოგოპედები დასამტკიცებლად მიავლინოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროში;

ბ) ლოგოპედიური პუნქტები ქ. ქ. ბათუმსა და ქობულეთში გახსნას იმ ვარაუდით, რომ ერთი პუნქტი ერთდროულად მოემსახუროს 2-3 საშუალო სკოლას;

გ) 1975 წლის 5 სექტემბრისათვის საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მოახსენოს ამ ბრძანების შესრულების შესახებ.

3. დაევალოს ქ. ქ. ბათუმისა და ქობულეთის განათლების განყოფილებებს (ამხ. ამხ. დ. დლონტს, რ. კინჭარაძეს) პერიოდულად

შეისწავლონ საშუალო სკოლებთან არსებული ლოგოპედიური პუნქტების მუშაობა და შემოწმების შედეგები განიხილონ განათლების საბჭოს სხდომებზე.

4. საგემო-საფინანსო სამმართველომ (ამხ. ა. კვაჭაძემ) ლოგოპედიური პუნქტები გახსნას მხოლოდ იქ, სადაც შექმნილია ყველა საჭირო პირობა და არის ამის აუცილებლობა.

5. სკოლების სამმართველომ (ამხ. რ. ჟანდელაკმა) კონტროლი დააწესოს ლოგოპედთა პუნქტების საქმიანობაზე. 1975-1976 სასწავლო წლის განმავლობაში შეამოწმოს მათი მუშაობა რესპუბლიკაში და შედეგები მოახსენოს კოლეგიას.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1975 წლის 10 აპრილის დადგენილება.

მ ი ნ ი ს ტ რ ი

თ. ვ. ლაშქარაშვილი

სპ. 64/31



შ ი ნ ა ა რ ს ი

1. ბრძანება № 176—სასკოლო ინტერნატების მუშაობის თაობაზე საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის 1975 წლის 24 იანვრის დადგენილების შესახებ	3
2. ბრძანება № 200—რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაწყებით კლასებში მათემატიკის სწავლების მდგომარეობის შესახებ	9
3. დადგენილება—სპორტის ტექნიკურ სახეებში რესპუბლიკური შეჯიბრებების ჩატარების შესახებ	37
4. დებულება—ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში ფაქულტატიური მეცადინეობის შესახებ	42
5. Типовое положение—о факультативных занятиях в общеобразовательной школе	45
6. ბრძანება № 286—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ი. გოგებაშვილის სახელობის განათლების სახელმწიფო რესპუბლიკური სამეცნიერო საბჭოს დამტკიცების შესახებ	49
7. ბრძანება № 302—საქართველოს სსრ-ში სლამოს (ცვლიანი) და დაუსწრებელი ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების ქსელისა და კონტინენტის შეცვრე ხუთწლედის ოთხი წლის სახალხო მეურნეობის გეგმის შესრულების შესახებ	51
8. ბრძანება № 316—უმალღესი პედაგოგიური სასწავლებლების 1974 წლის კურსდამთავრებულ ახალგაზრდა სპეციალისტთა 10 თვიანი სტაჟირების მიმდინარეობის შესახებ	57
9. ბრძანება № 311—ლაგოდეხისა და წულუკიძის რაიონების სკოლაში დღე დაწყებულუბათა მუშაობას შემოწმების შედეგების შესახებ	60
10. ბრძანება № 321—ქ. ქ. ბათუმისა და ქობულეთის საშუალო სკოლებთან არსებული ლოგოპედიური პუნქტების არასწორად გასსნისა და პედაგოგიური კადრების შეჩჩევის შესახებ	65